წელიწადი მესამე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 16 ოქტომბერი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 39

ჟურნალის შინაარსი

რა სურს ემიგრაციას—**ლ. შენგელაია;** „ბრძოლის" რედაქციას—**ყარიბი;** პრესა—პოლიტიკური მიმოხილვა—**ც. მეიშვილი;** ინტრიგები ისევ გრძელდება—**ს. ელიაძე;** სახუმაროთ, გასართობათ—**პრ.;** ორი გზა—**ოლიმპიადა ბაქრაძე;** ორი სამკუთხედი და ჩინეთი—**ი. ნარსია;** რაჭა-ლეჩხუმის ცენტრებთან დაახლოებისათვის—**კაპიტონ ბაქრაძე;** შორაპნის მაზრის მუშების და გლეხების განცხადება; ქუთაისის მასწავლებელთა ექსკურსია—**ნ. ნადირაძე;** ყოფ. სოც.-დემ. მენშევიკების ხმა.

# რა სურს ემიგრაციას

III

## საერთაშორისო კონფლიქტები და ინტერვენცია

მკითხველი უეჭველად მიაქცევდა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ემიგრაციის რწმუნებით დემოკრატიულ საქართველოს უძლიერესი მოკავშირენი შეუძენია: ტრადიცია, საერთაშორისო უფლება, ისტორია და სხვა და სხვა, აბა ვინ გაუმკლავდება ტრადიციისა და ისტორიის ძალას?!

იმ ხალხს, რომელმაც სამი წლის აქ ბატონობის დროს საქართველოს ერთი მოკავშირე ვერ უპოვა დღეს მთელი ქვეყანა მოყვრად და მეგობრად გაუხდია. ეს „უდიდესი მიღწევა" უეჭველია ბრწყინვალე ადგილს დაიჭერს მენშევიკების მომავალ ისტორიაში და შემდეგისათვის თუ სავსებით არა რამოდენიმედ მაინც შეამსუბუქებს მენშევიკების დიპლომატიის სიქაჩლეს. მხოლოდ საკითხავია, რატომ ასახელებს ემიგრაცია მხოლოდ ხუთ მოკავშირეს?!. თუ დემ. საქართველოს მოკავშირედ ჩაითვლება ტრადიცია. რატომ არ უნდა ჩაითვალოს მის მოკავშირედ მაგ. მიწისძვრა, გადამდები სენი, შიმშილი და სხვა, ხომ შეიძლება, რომ ხსენებულმა მოვლენებმა ერთ მშვენიერ დღეს წალეკონ ყვლა კომუნისტები და მათთან ერთად მთელი ეს „სახაზინო ულუფაზე" მყოფი ინტელიგენცია მისი პლატფორმებითა და სადგურებით!..

ახლა გვიბრძანეთ: ვის შეუძლია დაეჭვიანდეს იმ უძლეველი ლეგიონის გამარჯვებაში, რომლის „შერენგაში" ითვლება ტრადიცია, ისტორია, საერთაშორისო მორალი, საერთაშორისო უფლება, საერთაშორისო ინტერესი, შიმშილი, მიწისძვრა, გადამდები სენი და სხვა დიდი და პაწია ფაქტორები, რომლებიც კაცობრიობის ცხოვრებას ზურთივით ატრიალებენ?!.

ამას დაუმატეთ ევროპის იმპერიალისტები, ერთა ლიგა და სხვა მიგგვარი მაღალი მატერიები და თქვენთვის აშკარა იქნება, თუ რად არის ასე მეომრულ გუნებაზე ქართველი ემიგრაცია.

ამ ძალებში ემიგრაცია, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტს იმედებს ამყარებს იმპერიალისტებზე, საბჭოთა კავშირთან მათ შეტაკებაზე, მათ „დახმარებაზე".

საერთოდ უნდა ითქვას, რომ აჯანყების ფსიქოლოგიაში უცხოეთის დახმარება უდიდეს როლს თამაშობს, ნ. ჟორდანია სწერს: „მარტო საქართველო რუსეთს ვერ მოერევა, ეს უეჭველია, ეს კარგად იცის ჩვენმა ხალხმა და ამიტომ მუდამ კითხულობს—ვინ გვეხმარებაო". („რა მოხდა" გვ. 22).

ეს წინადადება ასე უნდა შესწორდეს: „მარტო საქართველო რუსეთს ვერ მოერევა. ეს კარგად იცის ხალხმა, ამიტომ... ამიტომ მენშევიკები ჩასჩიჩინებენ ხალხს: „ჩვენ მარტონი არა ვართ, ჩვენ ფრონტში დგას უძლეველი ძალები, ძვენ გვამაგრებს აუღებელი სიმაგრენი"-ო. (იხ. ნ. ჟორდანია. „დამ. საქართველო" № 1).

დადგა დრო, როცა რუსეთის საკითხი იღებს გარკვეულ ფიზიონომიას.

**მისთვის არ ეცალა ევროპას აქამდე... ჩვენ გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ რუსეთის საკითხი პრაქტიკულად არის დასმული მთელი თავის სიგრძესიგანით"-ო.** (იქვე.)

ე. ი. ევროპამ უკვე მოიცალა საბჭოთა კავშირისათვის და მას სეირს აჩვენებსო. ამ პროვოკაციაზე აშენებენ ჟორდანია-რამიშვილები თავის ავანტიურას, მაგრამ დაუშვათ ერთი წუთით, რომ ეს მართალია, რომ იმპერიალისტურ ევროპასა და საბჭოთა კავშირს შორის შეიარაღებული კონფლიქტები აუცილებელია, როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში ჭეშმარიტი პატრიოტი?

თუ მთელი ქვეყანა საბჭოთა კავშირის მტერია და მისი დაცემა აუცილებელია, პატიოსანმა პატრიოტმა ერს უნდა ურჩიოს უაღრესი ლოიალობა და მეტი საქმიანობა, რათა იმ ცეცხლიდან, რომელსაც იმპერიალისტური ევროპა დაანთებს, ქართველი ერი გამოვიდეს ნივთიერად და ფიზიკურად ყველაზე ნაკლებად დაზიანებული.

სოციალისტისათვის აქ ხომ სხვა გამოსავალი არ არსებობს გარდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მხარის და-

ერისა, მასთან ერთად ბრძოლისა და მტრების მოგერიებისა.

ნეიტრალობა, რომელსაც ამ შემთხვევისათვის ნ. ჟორდანია აყენებს, არის საზიზღარი ნიღაბი, გამოგონილი საგანგებოთ მუშებისა და გლეხების მოსატყუებლად, მათი თვალის ასახვევად, ვინაიდან, ცხადია, ნ. ჟორდანიასთვის ხელსაყრელი არ არის მუშებსა და გლეხებს პირდაპირ უთხრას: თუ ომი დარჩა, ჩვენ გვერდში ამოვუდგებით იმპერიალისტებს და ბოლშევიკების წინააღმდეგ იარაღით გავილაშქრებთო.

1918 წელს საქართველომ რომ დამოუკიდელობა გამოაცხადა—იგი არ ყოფილა ეროვნული ბრძოლის და აჯანყების შედეგი. ეს ფაქტი ერთიანად აბათილებს ნ. ჟორდანიას თეორიას იმის შესახებ, თითქოს ეროვნულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მხოლოდ ერი მოიპოვებს, რომელიც წარა-მარა აჯანყებებს აწყობს. სასაცილოა ნ. ჟორდანიას რწმუნება:—„ჩვენ იმპერიალისტურ ევროპისაგან დახმარებას მოვითხოვთ და არა ინტერვენციას“.

დახმარება ნიშნავს: დახმარებას ფულით, იარაღით, დიპლომატიით, შეიარაღებული ძალით. მაშასადამე, დახმარება უფრო ფართო ოცნებაა, ვიდრე ინტერვენცია, **დახმარება შეიცავს ინტერვენციას....**

რაკი ჟორდანია-რამიშვილი, საერთაშორისო გართულებასა და კონფლიქტებზე ამყარებენ თავის იმედებს, საჭიროა შესაფერისი თეორია თანამედროვე იმპერიალიზმის პროგრესიულობაზე, საჭიროა იმის დამტკიცება, რომ იმპერიალისტებზე დაყრდნობა არც ისე სათაკილოა სოციალისტებისათვის. მართალია ასეთი პოლიტიკის ზოგადი საფუძველი უკვე მოცემულია ნ. ჟორდანიას ცნობილ ფორმულებში: **„ევროპის იმპერიალისტები მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“-ო.** („ბრძოლა“ № 1.).

მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა საკითხისადმი უფრო კონკრეტიული მიდგომა, ეს მისია უკისრია ბ. ნ. რამიშვილს, ის როგორც „გაბედული კაცი“, აშკარად მოქმედობს, ქებათა ქებასასხამს თანამედროვე იმპერიალიზმს:

**„ევროპის იმპერიალიზმი ანგარიშს უწევს ეროვნულ და საერთაშორისო დემოკრატიას, ხოლო თვით დამორჩილებულ ერებს აძლევს განვითარების შესაძლებლობას“.**

**„იმპერიალისტები ამოძრავებულ ერებთან მორიგებას ლამობენ, ძველი იმპერიალისტურ პოლიტიკას თანდათან სტოვებენ და ამერიკის შერთებულ შტატების მიერ ამართულ პოზიციებზე დგებიან“.**

ჭეშმარიტად თანამედროვე მენშევიკი—ემიგრანტი.

«Идет на право песнь заводит,
Налево сказку говорит».

ლეო შენგელაია.

# „ბრძოლის“ რედაქციას

II.

## „ვედომოსტი გრადონაჩალსტვა“ და მასში თანამშრომლობა.

ეს ბრალდება, ასე ვსთქვათ, უფრო ოდიოზურია.

რაშია საქმე? რა იყო ეს „ვედომოსტი გრადონაჩალსტვა“ და შემეძლო თუ არა მე მასში თანამშრომლობა?

„ბრძოლის“ ხელმძღვანელებმა ჩინებულად იციან, რომ ეს ჭორია, რომ სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. მაგრამ ის მაინც ლაპარაკობს ასეთ საზიზღარ ჭორს. ის ამით ცდილობს ერთგვარი ეფექტის მოხდენას: რა იდეური მებრძოლია, რა დაეჯერება, რა პოლიტიკური პატიოსნება უნდა მოვთხოვოთ ისეთ მწერალს, რომელიც „გრად. ვედ.“-შიც კი არ თაკილობდა წერასო.

მართლაც რა პოლიტიკური წონა უნდა ჰქონდეს ასეთი მწერლის წერასა და მსჯელობას? რა თქმა უნდა, არაფითარი!

ეს პატარა ხერხი კი არ არის მოწინააღმდეგეს გასაბიაბრუებლად, მისი სახელის გასატეხათ.

„ბრძოლამ“ იცის, რომ ეს სიყალბეა. მაგრამ მისთვის ყოველი იარაღი გამოსადეგია. მოწინააღმდეგის ცილისწამება, პროვოკაცია, ჭორი!.. „ბრძოლის“-თვის არც ერთი ეს სამარცხვინო ხელობა არ არის. ყოველივე ეს ნებადართულია, მხოლოდ მოწინააღმდეგე კი გააშავოს.

„ბრძოლამ“ ჩინებულად იცის, რომ მას ასეთ სიყალბეში დაიჭერენ, მან იცის, რომ მის ჭორებს ერთობ მოკლე ფეხები აბია, მაგრამ იგი მაინც ბედავს ასეთი იარაღით გამოსვლას.

რატომ? იმიტომ, რომ მან იცის: ასეთ პროვოკაციას და ისიც ჩვენს დროში, როცა მრუდი და მართალი ცდილობს ქვეყანას დაუმტკიცოს, რომ ის დედის საშოდან პირდაპირ რევოლიუციონერად გამოვიდა, ასეთ დროს მწერლის სახელთან „გრ. ვედომოსტების“ ხსენებაც კი სახიფათო საქმეა.

ეს იცის „ბრძოლამ“. ამიტომ არის, რომ ის გაბედულად უწებს კალამს ამ სიბინძურეში და მოწინააღმდეგის პორტრეტის დაწერას ცდილობს.

„ბრძოლამ“ იცის,—მე აქვე დოკუმენტებით დავამტკიცებ, რომ იცის!—რომ მისი ასეთი ბრალდება მტკნარი სიცრუე და ცილისწამებაა, რომ ასეთი ფაქტი არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ ის მაინც სწერს ამ სისაძაგლეს, სწერს, ალბათ, იმ იმედით, რომ ან ის, ვიზეც ამას სწერს, ვერ შენიშნავს „ბრძოლის“ ასეთ სისაძაგლეს, ანდა კიდეც რომ შენიშნოს, მალე ვერ უარჰყოფს და ამ დროს განმავლობაში რამდენიმე ათეული გულუბრყვილო მაინც დაიჯერებს მისი ჭორის სიმართლეს. დაიჯერებს ისეთი მაინც, ვისაც თქვენს შესახებ ასეთი რაიმეს დაჯერება უნდა. და ასეთი „მეგობრები“ ხომ ერთობ ბევრი ეყოლება ყველა ჟურნალისტს და კერძოთ ყარიბს.

განსვენებული კარლო ჩხეიძე ხშირად იოხუნჯებდა ხოლმე ასეთი შემთხვევისათვის: „კი დაგჭედენ და მერე მოდექი და ამტკიცე, რომ კურდღელი ხარ და არა აქლემიო“.

„ბრძოლის“ კალმოსნებსაც მხოლოდ და მხოლოდ ასეთი დროებითი ეფექტის იმედი ჰქონდათ: დავჭედავთ, ესე იგი ცილს დავსწამებთ და შემდეგ ამტკიცოს, რომ ეს ჭორია და არა მართალიო. მათ კარგად იციან ჭორის ფსიქოლოგია, რომელიც რუსის მწერალმა ასე გამოსთქვა:

Глупец поверит, передасть'

ორსა და სამს ისეთს ყოველთვის იპოვნით, რომ ჭორი დაიჯერონ და სხვებსაც გადასცენ და მეჭორეებსაც მეტი რა უნდათ?

მაგრამ დავუბრუნდეთ თვით საგანს.

რა იყო ეს „გრ. ვედომოსტები“?

ეს იყო უბრალო „ცნობარი“, ესე იგი ისეთი გამოცემა, რომელშიაც იბეჭდებოდა ყველა ის შემთხვევები (Происшествия), რაც ყოველდღიურად ხდება ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც იყო ძველი პეტერბურგი და როგორიც არის დღევანდელი ლენინგრადი. ამ ცნობარში თქვენ წაიკითხავდით, მაგალითად, იმის შესახებ, რომ ამა და ამ დღეს ამა და ამ უბანში, ამა და ამ ქუჩაზე ესა და ეს მოქალაქე გაიტანა ავტომობილმა, ტრამვაიმ. ამა და ამ მოქალაქემ ესა და ეს დასჭრა, მოჰკლა, გაქურდა; ამა და ამ ქუჩაზე ხანძარი მოხდა და სხვა და სხვა და სხვა ასეთი შემთხვევები.

ერთი სიტყვით, ამ გამოცემაში იბეჭდებოდა ყოველივე ის, რასაც ჩვეულებრივად ყველა გაზეთებში „ქრონიკის“ სათაურით იბეჭდებოდა და იბეჭდება. აქ განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ „გრ. ვედ.“-ში ყოველი ეს ფაქტი იწერებოდა პოლიციური „გაშუქებით“, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ თუ ქურდების ან სხვა ვისიმე ბოროტმოქმედების დაჭერაზე იყო ლაპარაკი, უეჭველად

პოლიციას უკმევდენ, თუ ხანძარის შესახებ წერდენ, უეჭველად პოლიციის „თავდაუზოგველ" მოქმედებასაც არ დაივიწყებდენ... კერძო გაზეთები კი ამ შემთხვევებს აღნუსხავდენ თავის ფურცლებზე სრულიად უკომენტარიოთ და თუ კომენტარიებს გაუკეთებდენ უეჭველად პოლიციასაც გაკაწრავდენ.

ამ „ცნობარის" რედაქცია წარმოადგენდა „შემთხვევათა ბიუროს" (Бюро происшествий), საიდანაც ყველა კერძო გამოცემები ყოველდღე იღებდენ ახალ-ახალ ცნობებს „ქრონიკაში" დასაბეჭდათ. ყველა ყოველდღიური გამოცემა ამ ბიუროში ყოველ დღე გზავნიდა სპეციალურ თანამშრომელს, რეპორტიორს, რომელიც ამუშავებდა, თუ ასე შეიძლება ითქვას, ეროგვარ ლიტერატურულ ფორმას აძლევდა პოლიციის ჩინოვნიკების მიერ შედგენილ ცნობებს და შემდეგ ასე დამუშავებული ცნობები იბეჭდებოდა გაზეთის „ქრონიკის" სახით.

„გრ. ვედ."-ში გარდა დასახელებული ცნობებისა იბეჭდებოდა აგრეთვე შენიშვნები და წერილებიც ასე ვსთქვათ უწყების შინაურ საკითხებზე. ასეთ წერილებს წერდენ არა „რეპორტიორები", არამედ თვით პოლიციის მოხელეები, რომელმაც, ალბათ, იცოდენ თავისი უწყების საჭირბოროტო საკითხები.

ასეთი იყო ეს „ბრძოლის" მიერ ამოჩემებული „გრ. ვედ". ასეთი დამოკიდებულება არსებობდა ამ გამოცემასა და სხვა გაზეთებს შორის, ასეთ როლს ასრულებდენ „გრ. ვედომოსტებში ყველა კერძო გაზეთების რეპორტიორები.

ასთი რეპორტიორები ყოველთვის იყვენ და არიან ყველა ყოველდღიურ გაზეთებში. ეს რეპორტიორები ქალაქში მომხდარი შემთხვევების შესახებ ცნობებს იღებდენ პოლიციის სამმართველოს კანცელარიაში. ეს ასე იყო ყველა დიდ ქალაქებში. ეს ასეა დღესაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დღეს მადლითა და შეწევნითა რევოლიუციისა პოლიციის სამმართველოს ნაცვლად მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველო გვაქვს და, ალბათ, ჩვენი რეპორტიორებიც საჭირო ცნობებს იქედან იღებენ.

ძველ პეტერბურგში რეპორტიორების რიცხვი ათასობით მაინც იქნებოდა. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მაშინდელ რუსეთის სატახტო ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობის 10 პროც. მაინც ამ ხელობით ირჩენდა თავს და ამაში სასირცხვო და პოლიტიკურად მიუღებელი არასოდეს არაფერი არ დაუნახავთ. ეს ისეთივე საქმე იყო, როგორც კორექტურა, რეპეტიტორობა და სხვა ასეთი. ასობით შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ისეთი პირები, მოსწავლეობის დროს გაზეთის რეპორტიორობით ერჩინოს თავი და დღეს უდიდესი ადგილი ეჭიროს პოლიტიკურ თუ ადმინისტრატიულ სფეროში. ათობით შეგვიძლია დავასახელოთ რუსეთში ისეთი დიდი მწერალი, რომლებსაც რეპორტიორობით დაეწყოს თავისი ლიტერატურული კარიერა. და არც ერთ მათგანს ფიქრადაც კი არ მოსვლია თავისი ასეთი წარსულის მიფუჩეჩება. არც ყოფილა რუსეთის მწერლების პრაქტიკაში ისეთი შემთხვევა, როცა რეპორტიორობა ვისმესთვის პასივში ჩაეთვალონ.

პირადათ მე გაზეთის რეპორტიორად ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ და კიდეც რომ მდომოდა პეტერბურგის რომელიმე დიდი გაზეთის რეპორტიორობა, დარწმუნებული ვარ, არც მომცემდენ. ჩემთვის ეს შეუძლებელი და მიუწდომელი საქმე იყო, რადგანაც ამისთვის საჭირო იყო ამ საქმეში დიდი გამოცდილება. გაზეთის რეპორტიორმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს ქალაქი და მისი ცხოვრება, მას ყოველ დაწესებულებაში უნდა ჰქონდეს ნაცნობობა. ვისაც დიდ ქალაქში უცხოვრია და ყოველდღიურ გაზეთთან რაიმე დამოკიდებულება ჰქონია, იმან უეჭველად იცის თუ რა დიდ მოთხოვნილებებს უყენებენ რედაქციები რეპორტიორებს. ვაი რეპორტიორის ბრალი, თუ რაიმე ახალი ამბავი რომელიმე სხვა გაზეთში არის და მას კი გამორჩა.

მე რეპორტიორი არ ვყოფილვარ. ჩემი კარიერა მე რეპორტიორობით არ დამიწყია და არა მარტო იმიტომ, რომ მე ამას არ ვიკისრებდი, ან რეპორტიორობას ვერ ვიშოვნიდი. უფრო იმიტომ, რომ ჩემთვის ეს ხელობა საჭირო არ იყო. ჩემი გაჟურნალისტება უფრო ბედნიერ პირობებში მოხდა, მე ამ მხრით ბედმა გამიღიმა და იმ თავითვე რეპორტიორზე ერთი ჩინით მაინც მეტი მარგუნა. მაგრამ ამაზე შემდეგ.

ჯერ კი „გრ. ვედ." ვილაპარაკოთ.

ხალხის თქმულებაა: ტაშტი გატყდა—ხმა გავარდა. კვამლი უცეცხლოთ არ იქნებაო.

ეს მართალია. მკითხველს სრული უფლება აქვს იკითხოს: რადა მაინცა და მაინც „გრ. ვედ." დაასახელეს ბრძოლელებმა? რა მაინცა და მაინც ეს მოიგონეს და არა სხვა რამე თუნდაც იმავე „„გრადონაჩალსტვოს" ირგვლივ?

ეს კითხვები მე სრულიად საფუძვლიანად მიმაჩნია და ვეცდები დავაკმაყოფილო მკითხველის ცნობის თუ ცოდნის მოყვარეობა

„გრ. ვედომოსტები" ჩემს სახელთან ერთად პირველად ბრძოლას არ უხსენებია. ეს უწინ სხვამ ახსენა და მაშინ „ბრძოლის" დღევანდელი მეთაურები, რომლებმაც იცოდენ ამ სიტყვების სიყალბე, ჩემზე ნაკლებად არ იყვენ აღშფოთებული.

საქმე ასე იყო. 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ და განსაკუთრებით „წიწამურის ტრაღედიის",—როგორც ვეძახოდით ილია ჭავჭავაძის ვერაგულ მკვლელობას,—საერთოდ ჩვენი პარტიის ჟურნალისტები და კერძოთ მე გაცხარებულ პოლემიკას ვაწარმოებდით ყოველგვარ ნაციონ. პარტიებთან. ჩვენ და კერძოთ მე ჩვენი მოწინააღმდეგეები არაფრით არ გვზოგავდენ. გამარჯვებული რეაქციის დროს ყველა ჩვენგანს სრული საბუთი ჰქონდა ფსევდონიმს ამოფარებოდა, მაგრამ მოწინააღმდეგეები ამ ერთად-ერთისა და თანაც არასაიმედო თავშესაფარსაც გვართმევდენ. „ნიშადურის" რედაქცია აიღებდა ასეთ ფსევდონიმს ამოფარებული მისი მოწინააღმდეგე ჟურნალისტის სურათს, დაბეჭდავდა თავის ფურცლებზე და ზედ მის ფსევდონიმს ან ნამდვილ სახელს მოაწერდა. ასე ეპყრობოდა „ნიშადური" ნ. ჟორდანიას, ასე მეპყრობოდა მეც. ჩვენი მოწინააღმდეგეების არც სხვა გაზეთები გვეპყრობოდენ უფრო „ლიტერატურულად", ისინიც ხშირად მიმართავდენ წმინდა პროვოკატორულ ფანდებს.

ასეთ ნიადაგზე წარმოიშვა „გრ. ვედომოსტების" ლეგენდაც. 1908 წ. გაზ. „ზაკავკაზიეს" სააღდგომო ნომერში თბილისის რუსული გაზეთების რეპორტიორმა ვინმე ხერხეულიძემ სახუმარო ფელეტონი დასწერა, რომელშიც სხვათა შორის ჩემზეც „იოხუნჯა":—

Блуждаю я теперь от „Ведомостей Градоначальства" вплоть до „Возрождения".

ამ მურტალი „ხუმრობის" გამო მე დიდი წერილი დავსწერე ჩვენ პარტიულ რუსულ გაზეთში „Наша Жизнь"-ში, რომლის ფაქტიური რედაქტორი მე ვიყავი და რომელშიაც მუდმივად იბეჭდებოდა ნ. ჟორდანიას წერილები **ან**-ის ფსევდონიმით. უნდა გენახათ რეპორტიორი ხერხეულიძის განცვიფრება, როცა მას აუხსნეს, რომ მისი „ხუმრობა" უკვე გამოდის ხუმრობის ფარგლებიდან. მან თურმე ასე წარმოიდგინა: ყარიბი პეტერბურგიდან ჩამოვიდა, იქ გაზეთებში სწერდა, მეტი რა იქნებოდა თუ არა რეპორტიორი და როგორც ასეთი „გრ. ვედ." თანამშრომელიო. მის მსჯელობაში ეროგვარი ლოღიკა იყო, რადგანაც მან პეტერბურგის რეპორტიორებისა და „გრ. ვედ."-ის შესახებ კარგად იცოდა ყოველი ის, რაც ზემოთ ვსთქვი.

ჩემმა მაშინდელმა ამხანაგებმა, იმათ, რომლებიც დღეს „ბრძოლის" ფურცლებიდან მიშენენ ყუმბარებს, ჩინებულად იცოდენ „გრ. ვედომოსტების" ასეთი ისტორია. სრულიად ბუნებრივია, რომ ისინი ძალიან დაინტერესებული იყვენ ამ საქმით. ნ. ჟორდანია ძალიან კმაყოფილი

დარჩა ჩემი პასუხით და მაშინ ამ საკითხს სრულიად ამოწურულად თვლიდა. მას არ შეიძლება დღეს არ ახსოვდეს ეს გარემოება და თუ არ ახსოვს, მე მოვაგონებ. ჩემი საპასუხო წერილი დაბეჭდილია „ნაშა ჟიზნ“-ის მეოთხე ნომერში და სათაურათ აწერია „ლისტკი“. იმავე გაზეთის იმავე ნომერში პირველ გვერდზე, ჩემი წერილის წინ დაბეჭდილია **ან**-ის წერილი: „ეშჩო რაზ ობ „ისტინნო-გრუზინსკოი“ პრესსე“. აქედან აშკარაა, რომ ჩემი საპასუხო წერილის არსებობა იცოდა ნ. ჟორდანიამ.

მაგრამ მე კარგადა ვგრძნობ, რომ ჩვენს დღევანდელ დამოკიდებულებაში ნ. ჟორდანია მე მოწმეთ არ გამომადგება, რაც მან დაამტკიცა მითი, რომ „ბრძოლის“ კალმოსნებს ჩემზე ასეთი საზიზღარი ცილისწამება გააბედვია. შეიძლება ნ. ჟორდანიამ ბრძანოს:—რა ვუყოთ, რომ ჩემი წერილი შენს „საპას. წერ.“ ერთად არის დაბეჭდილი. შენ ის წერილი დაბეჭდე ისე, რომ ჩემთვის არ გიჩვენებია. ამიტომ მე ჩემი წერილის რედაქციიდან წაღება არ შემეძლო და ის შენს წერილთან ერთად დაიბეჭდაო... „ბრძოლის“ შეფისაგან მე ყველაფერ ცუდს მოველი და მისი ასეთი თავის მართლებაც არ გამიკვირდება. მაგრამ წინდაწინვე ვაფრთხილებ ნ. ჟორდანიას, რომ ის ამას ვერ იტყვის. ვერ იტყვის, რადგანაც იმავე „ნაშა ჟიზნ“-ის შემდეგ ნომერშიაც ერთად სწერენ, ერთად თანამშრომლობენ და ერთად იბრძვიან ნ. ჟორდანია—ან-ი და ყარიბი.

დოკუმენტი? ინებეთ!

იმავე „ნაშა ჟიზნ“-ის მეხუთე ნომერში ჩვენ ვკითხულობთ **ან**-ის მეთაურს: „პოლიტიჩესკაია გეგემონია ოტსტალიხ პროვინციი“. მეორე წერილად მიდის ყარიბის „ლისტკი“, რომელშიც ის ჯამს უკეთებს იმ პოლემიკას, რომელიც იყო ს.-დემოკრატი პუბლიცისტებსა და სოც.-ფედერალისტების ორგანოები: „ისარისა“ და „ამირანის“ პუბლიცისტებს შორის. ამასვე ვხედავთ ამ გაზეთის სხვა ნომერშიაც. და განა მარტო ამ გაზეთში?...

და თუ ეს ასეა, თუ ჟორდანია და ყარიბი ამის შემდეგაც ერთად მუშაობდენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ინცინდენტი ძირამდე ამოწურული ყოფილა. კიდევ მეტი: თუ ეს ინცინდენტი ამოწურული არ ყოფილიყო, რაფერ შეიძლებოდა „გრად. ვედომოსტების“ თანამშრომელი ყარიბის არა თუ პარტიული გაზეთის თანამშრომლად დატოვება, მთელი რიგი პარტიული რუსული გაზეთების ფაქტიურ რედაქტორად დატოვება?..

ეს იყო 1908 წელს. მას შემდეგ გავიდა თითქმის ოცი წელიწადი და დღეს ემიგრაციის „ბრძოლამ“, რომლის შეფიც იგივე **ანი—ნოე ჟორდანია** ბრძანდება, იგივე საზიზღარი ცილისწამება გაიმეორა.

რატომ?

ეს ადვილი მისახვედრია. ყარიბი დღეს „რენეგატია“, ის „მოღალატეა“! ატუ! ატუ მას! მის წინააღმდეგ ყოველგვარი იარაღი დასაშვებია... და „ბრძოლის“ კალმოსნებიც დღეს ყოველგვარ სისაძაგლეს ჩადიან

მაგრამ მაინცა და მაინც დიდი ჭკუის არ უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთ სისაძაგლესთან ასეთი სისულელეც ჩაიდინოს და მოწინააღმდეგეს ასეთი „კოზირი“ მისცეს. „ბრძოლის“ უხეირო პუბლიცისტებმა უნდა იცოდენ, რომ შუბი ხალთაში არ დაიმალება და ამა თუ იმ გაზეთში თანამშრომლობა ისეთი დიდი შუბია, რომელსაც ვერავინ ვერავითარი ხერხებით ვერ დამალავს. ამ გაზეთის კომპლექტი ხომ ინახება, მისი გადათვალიერება ხომ შეიძლება?

მაშ რაშია საქმე? რატომ ასე „ლიტონი სიტყვით“ ბრძანებთ ასეთ უაღრესად მგრძნობიარე და სათუთ საქმეზე“, როგორიც არის მოწინააღმდეგისათვის ზნეობრივი და პოლიტიკური ჩირქის მოცხება? რატომ არ იღებთ თავისთავზე შრომას, არ გადაათვალიერებთ დასახელებულ გამოცემის კომპლექტს, არ შეიარაღდებით საბუთებით და ისე არ ეუბნებით მკითხველს: ის მწერალი, რომელიც დღეს ასე ყვირის პოლიტიკურ პატიოსნებაზე, გუშინ ასეთ საზიზღარ გამოცემებში თანამშრომლობდაო. ხომ არის საჭირო დაასახელოთ გამოცემის ნომერი, წელი, თვე, სტატიის შინაარსი ან სათაური მაინც.

თქვენ ყველა ამაზე, რა თქმა უნდა, თავს არ იწუხებთ. თქვენ მხოლოდ გსურთ მოწინააღმდეგის დამცირება და როშავთ. რას? თვითონც არ იცით. მხოლოდ ის კი იცით, რომ ეს თქვენი როშვა რაც უფრო ბინძურია, მით უფრო მისაღებია თქვენთვის.

მე კი დადასტურებით მოვითხოვ: ან მიმართეთ ჩემ მიერ ნაჩვენებ საშუალებებს თქვენი სისაძაგლის დასამტკიცებლად. ან უარყავით იგი!

შეიძლება მიბრძანოთ: ჩვენ სად ვიპოვნოთ დასახელებული გამოცემის კომპლექტიო? ტყუილი თავის მართლებაა. ეს მხოლოდ იმას ააშკარავებს, რომ თქვენ თვითონ აძლევთ თავის თავს ცილისმწამებელის დიპლომს, რადგანაც თუ თქვენ ეს გაზეთი არ გინახავთ და მისი ნახვა არ შეგიძლიათ: მაშ თქვენი ბრალდება სად, რომელ დოკუმენტში ამოიკითხეთ, თუ არა თვითონ თქვენს საკუთარ სულში? და ასეთი წყარო კი ერთობ სახიფათოა იდეურ ბრძოლის დროს.

„გრ. ვედომოსტების“ კომპლექს ვერ ვიშოვნითო, ეს ყოვლად უსუსური თავის მართლებაა. ბრიტანეთის ნაციონალური მუზეუმი თქვენს ხელთ არის და პარიზის და ამ დაწესებულებებში ჩიტის რძეც კი იქნება, არა თუ ესა თუ ის რუსული გამოცემა.

მაშ კეთილ ინებეთ და დაამტკიცეთ ფაქტებით ხელში თქვენ მიერ წამოყენებული ბრალდება. და რომ თქვენ ამისათვის დიდი თავისტეხა არ დაგჭირდეთ, მე თვითონ დაგეხმარებით, მე თვითონ მოგცემთ ამ შემთხვევაში საჭირო კომპასს,—რომელიც თქვენ სწორ გზას გაჩვენებთ და შრომას ერთი ასად შეგიმსუბუქებთ. მე გეუბნებით, რომ პეტერბურგში ვცხოვრობდი 1898 წლიდან 1902 წლამდე. შემდეგაც მიცხოვრია დრო გამოშვებით: 1905 წლის დასაწყისში და 1907 წლის პირველ ნახევარში.

აი ჩემი კომპასი! ინებეთ! ეძებეთ „გრ. ვედომოსტებში“ ან სხვაგან ასეთ ორგანოებში ჩემი თანამშრომლობის კვალი.

ხელი მოგიმართოთ თქვენმა გაბოროტებამ! გწყალობდეთ თვით ნემეზიდა!

და თუ თქვენ ასეთ ორგანოებში ჩემი თანამშრომლობის კვალი ვერ იპოვოთ, მაშინ... მაგრამ რა სახელი უნდა გიწოდო მის მეტი, რაც გიწოდე? სირცხვილის გრძნობა თქვენ კარგი ხანია დაჰკარგეთ...

ყარიბი.

# პ რ ე ს ა

## ორნი არიან, ტოლნი არიან

ინგლისში ამ დღებში ორი დიდი ყრილობა მოხდა: ბლეკპულში შეიკრიბა ინგლისის მუშათა პარტია, ხოლო კარდიფში მართველ შუბლმაგართა ხროვა.

ერთის მხრით თითქოს „სოციალისტური“ და „ოპოზიციონური“ პარტია, მეორე მხრით გაშიშვლებული რეაქციის წარმომადგენელნი ჯენტლემენები.

რა უნდა იყო მათ შორის საერთო? თითქოს **არაფერი**, ნამდვილად კი ისინი ერთი და იგივე იმპერიალისტური ინგლისის ფილიალებს წარმოადგენენ, ორივე ფრთას შორის ყველა ძირითად საკითხებში გულითადი ერთობა და თანხმობაა.

ინგლისის ამ შინაურ ანტანტის უკანასკნელ კონგრე-

სებს ეხება მოსკოვის „პრავდა“ (№ 230) და სამართლიანად სწერს:

„ინგლისის კაპიტალიზმი დღეს განიცდის უმაგალითო კრიზისს და ლპობისა და დაცემის ხანას. ის სცდილობს შეინარჩუნოს სიცოცხლე და გაახანგრძლივოს თავის უფლება, უმოწყალოდ ყვლიფოს მუშათა მილიონები ინგლისში და მუშებისა და გლეხების მილიონები კოლონიებში, რისთვისაც ამზადებს ახალ ომს, ახალ აშკარა ცარცვას.

სწორედ ამ დროს ინგლისის პროფკავშირების ლიდერები უკუაგდებენ 1925 წელს მათ მიერ ხელმოწერილ ყველა შეთანხმებებს და უარს აცხადებენ მათ მიერ აღებულ ვალდებულებებზე—ე. ი. ხელს იღებენ კაპიტალთან, ომის საშიშროებასთან და საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის ბრძოლაზე და ყოველივე ეს ხდება იმისათვის, რომ კლასობრივი ბრძოლის მთელს ფრონტზე **უფრო მჭიდროთ** დაუკავშირდენ თავის ქვეყნის იმპერიალისტებს და **დაეხმარონ** მათ. თავი დააღწიონ შექმნილ მდგომარეობას, დაიხსნან ქაოზიდან „დიდი ინგლისის იმპერია“.

## თეთრი ნაცარქექიები

„თეთრი გიორგი“ უკვე შეუდგა თავის შავი ზრახვების გამომზეურებას (იხ. № 7.).

ის შეიკაზმა თოფითა და ჯინჯლით და შეტევაზე გადავიდა.

შეტევა წარმატებით დაიწყო, მისი ძლევამოსილება უკვე იგემა ბ. ნ. რამიშვილმა, მარა თეთრ რაშზე მჯდომი რაინდები ამით არ კმაყოფილდებიან..

„თეთრი გიორგი“ უტევს... რუსეთს, საბჭოთა ხელისუფლებას, სოციალიზმს, მშრომელ ხალხს, ყველას, ვისაც არა სწამს მონარქისტულ-ფაშისტური „საქართველოს უწინარეს ყოვლისა“! თეთრი გიორგის ლევიზია.

„რას ჩივა თეთრი რაინდი?

მისი პირველი აღთქმაა: „ძირს რუსეთი“.

თურმე „ქართულ მაღალ სულს ვერ შეედრება რუსული მონური სული“, „ამ ქედმოხრილ ერს არ ახსოვს არც ერთი ნამდვილი გამარჯვება, „ამ ავადმყოფმა, თავმოყვარეობა დაკარგულმა **ხალხმა თავიანთი მეფენი თავისივე ხელით მოჰკლაო**“.

საკუთარი მეფეების თავისივე ხელით მოკვლა!.... რა საშინელებაა!..

ასეთ „დანაშაულს“, აბა როგორ აპატიებს რუსეთს ქართველი მონარქისტი. ეს ასი წლის სასაცილო მუმია!

„ძირს სოციალიზმი“! ღაღადებს თეთრი რაინდის მეორე მცნება, ვინაიდან თურმე „სოციალიზმი დამყარებულია კლასთა ბრძოლის პრინციპებზე“, „ის დამყოფველია ერის ძალების, დამანგრეველია ეროვნული შეგნების“, მარა ეს კიდევ არაფერი. ჩვენში სოციალიზმის უმთავრესი და უდიდესი დანაშაული ის ყოფილა, რომ იგი „**შემოტანილია რუსეთიდან**“ და ქართველ ფაშიზმს ევროპის ფაშისტების მიერ ზურგ გამაგრებულს და რუსეთის მონარქისტებთან საიდუმლო კავშირში მყოფს აბა როგორ მოეწონება ისეთი საქონელი, როგორიცაა სოციალიზმი ისიც რუსეთიდან შემოტანილი!...

შეურაცხ რა ასე ლაზათიანად რუსეთსა და სოციალიზმს, „თეთრი ნაცარქექია“ იგონებს „დიმიტრი თავდადებულს, ცოტნე დადიანს, ქეთევან წამებულს, დიდ სარდალს გიორგი სააკაძეს, ბიძინა ჩოლოყაშვილს, პატარა კახს, მეფე ა. სოლომონ მეორეს, ალექსანდრე ბატონიშვილს, მარიამ დედოფალს“. ქმნის „გმირების კულტს“ და პირდაპირ გვამცნობს მთელი ამ ფახა-ფუხის და საარქივო ექსკურსიების მიზანსა და დანიშნულებას. ეს არის ბანდიტ ჩოლოყაშვილის ქებათა-ქება (ის, ალბათ, თეთრი გიორგის კანდიდატია საქართველოს სამეფო ტახტზე).

თეთრი ნაცარ-ქექიები სასოებით და კრძალვით მოგვიწოდებენ:

„შევხედოთ ანთებულ თვალებში ჩვენს თანამედროვეს ბელად ქაქუცა ჩოლოყაშვილს,—რომლის ძარღვებში შერეულ წინაპრის ბიძინას სისხლმა იფეთქაო“.

მაგრამ ამ პირწავარდნილმა რეაქციონერებმა კარგად იციან, რომ შელოცვითა და წუწუნით იერიქონის კედლები ახლა აღარ ინგრევა, რომ რუსეთს „საბჭ. ხელისუფლებას და სოციალიზმს ისინი ვერაფერს დააკლებენ, იციან და სასოწარკვეთილებაში ვარდებიან.

ჩიხში მოქცეული თეთრი ნაცარქექია იბნევა, ოცნების ლაჟვარდ სფეროდან მიწაზე ჩამოდის და დამტვრეულ გობთან მდგომი ნიანგის ცრემლებსა ჰყრის და „ლოცვასა და მარხვაში“ ეძებს შვებასა და დავიწყებას.... (იხ. „ბრძანება № 52.).

საბრალო თეთრი გიორგი! ჯერ თვალები არც კი გაუხელია და ახლავე მარხვა?!. მაგრამ არა უშავსს: „ჯერ ნორჩია, გაიზრდება, რა იქნება?!.. „საქართველო უწინარეს ყოვლისა“-ო, არა—„ლოცვა და მარხვა“ უწინარეს ყოვლისა. ეგებ ამან უშველოს ქართველ ფაშისტების წაგებულ საქმეს“.

# პოლიტიკური მიმოხილვა

### 1

### 1) ბლეკპული—კარდიფი—სალფორდი; 2) მსოფლიო რეაქციის ხელმძღვანელები პარიზში; 3) პოლონეთ-ლიტვიის კონფლიქტი

დიდი ხანია რაც დიდ ბრიტანეთის იმპერიაში დაირღვა კონსტიტუციონალური ლიბერალიზმის ძველი ტრადიციები და სწარმოებს მებრძოლი სოციალური კლასების სწრაფი დაჯგუფება. მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ინგლისმა დაჰკარგა გაბატონებული მდგომარეობა მსოფლიო ეკონომიკაში, ინგლისის ბურჟუაზია ვეღარ ახერხებს ქრონიკული საწარმოო კრიზისების აცილებას და თვითონ იღებს ინიციატივას მუშათა კლასის წინააღმდეგ პოლიტიკური ომის დაწყებაში. მაგრამ ეს ბრძოლა ინგლისის ბურჟუაზიას შეუძლია განსაზღვროს მეტროპოლიის ფარგლებით. მის ბატონობას არა ნაკლებ ემუქრება კოლონიალური ხალხების რევოლიუციონური განწყობილება იქ დაწყებული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა. ამიტომ გამოდის ინგლისის ბურჟუაზია საერთაშორისო რეაქციის ხელმძღვანელის როლში.

ამ დღეებში ინგლისში ჩატარდა ამ ბრძოლაში მონაწილე სამი მთავარი პოლიტიკური პარტიების ყრილობები, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ: მუშათა პარტიის, კონსერვატორების და კომუნისტების წარმომადგენლები. ამ ყრილობებმა ჯამი გაუკეთა შესრულებულ მუშაობას და შეიმუშავა მომავალი მოქმედების პროგრამა.

რა სთქვეს ამ ყრილობებმა? როგორ შეაფასეს მათ განვლილი მუშაობა და როგორია თვითეული მათგანის სამოქმედო პროგრამა მომავალში?

ვინც იცნობს მუშათა პარტიის ლიდერების მუშაობას და როლს წარსულში, მან იცის, თუ რას იტყოდენ, როგორ პოზიციას დაიჭერდენ ისინი ბლეკპულის ყრილობაზე. მაკდონალდ - ტომას- ბენ-ტერნერებს, რომლებიც გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის გამოდიოდენ ბურჟუაზიის დამცველად, რომლებმაც გასცეს 1926 წ. საყოველთაო და მემაღაროეთა გაფიცვა, რომლებმაც ედინბურგის ყრილობაზე დასტური მისცეს შუბლმაგართა რეაქციონურ პოლიტიკას მიმართულს ინგლისის პროფ-მოძრაობისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, —არ შეეძლოთ არ გამოემჟღავნებინათ თავისი ნამდვილი სახე.

მემარცხენე პაციფისტური ლოზუნგების გამოცდილი ოსტატი მაკდონალდი, რომელიც ერთ დროს მემარ-

ცხენეობის ნიღაბს ატარებდა მუშათა პარტიაში, ეხლა გარკვეულად ამბობს: „სოციალიზმისათვის ბრძოლა ჩვენთვის ყოველთვის მეორე რიგში იქნებაო". ბურჟუაზიის მეორე შინამსახური სნოუდენი ამ განცხადებაზე უკვე პროგრამას აშენებს: „მუშათა პარტიის პროგრამა უნდა ეყრდნობოდეს პრაქტიკულ შესაძლებლობასო".

თუ ასე „პასიურია" მათი პროგრამა რევოლიუციისა და სოციალიზმის საკითხებში, სამაგიეროთ ერთობ აქტიურია მათი თანამშრომლობა კონსერვატორებთან სოციალიზმისა და რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ. მაკდონალდ-სნოუდენები მუშათა პარტიის რიგებიდან აკავებენ არა მარტო კომუნისტურ ელემენტებს, არამედ კომპარტიის იდეური გავლენის ქვეშ მყოფ ორგანიზაციებსაც; ამ მოტივით იქნა გაძევებული მასწავლებელთა შრომის ლიგა ყრილობის მიერ.

ბლეკპულის ყრილობაზე იმდენად უკან დაიხიეს მუშათა პარტიის ლიდერებმა, რომ ლივერპულში და მარგეიტში მიღებულ დადგენილებების განხორციელების სურვილიც ვერ გამოაცხადეს, ისინი კონსერვატორების დასაკმაყოფილებლად მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნის ფორმალურ უარყოფასაც არ დაერიდენ და საბჭოთა კავშირში დახვრეტილ ინგლისის ჯაშუშების პატივისცემა ფეხზე ადგომით აღნიშნეს.

ინგლისის მუშათა „ლიდერების" რეაქციის ბანაკში გადასვლას „ტაიმსი"-ც ადასტურებს: „მუშათა პარტიის პოზიციები ბლეკპულის ყრილობაზე არ განსხვავდება ჩემბერლენის პოზიციიდან; ისინი უკვე აღარ აკეთებენ სერიოზულ ცდებს მთავრობის პოლიტიკის კრიტიკისთვის".

მუშათა პარტიის ყრილობას მოყვა კონსერვატიული პარტიის ყრილობა კარდიფში. მუშათა პარტიის ლიდერების დახმარებით ზურგ-გამაგრებული კონსერვატორები ეხლა უფრო მაგარი ხმით ალაპარაკდენ მუშათა კლასის და რევოლიუციის წინააღმდეგ დაწყებულ შეტევის განსავითარებლად, ვინემ წარსული წლის ყრილობაზე სკარბოროში. შუბლმაგარნი უკვე შეუდგენ იმის თადარიგს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში შესაძლებელი დამარცხების დროსაც უზრუნველყონ ეხლანდელი გაბატონებული მდგომარეობა. ამისათვის მათ უნდათ შესცვალონ კონსტიტუცია ისე, რომ თემთა პალატის ეხლანდელი ფართო უფლებები მინიმუმამდე დაიყვანონ, დაუმორჩილონ ლორდთა პალატას, სადაც მათი უმრავლესობა ყოველთვის უზრუნველყოფილია.

ლორდთა პალატის რეფორმის ავტორმა კინდერსლეიმ განაცხადა: —ეს რეფორმა ჩვენ უნდა გავატაროთ ეხლანდელი პარლამენტის შემადგენლობის ვადის გასვლამდე, რადგან არსებული უფლებები თემთა პალატას საშუალებას მისცემს მომავალ მუშათა მთავრობას გააუქმოს არა მარტო ლორდთა პალატა, არამედ მონარქიაც მოსახლეობის დაუკითხავად"-ო. მხოლოდ წარსული საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა მოაგონა მათ ქალებზე საარჩევნო უფლებების გავრცელებაც.

კარდიფის ყრილობაზე კონსერვატორებმა არ დაივიწყეს არც მუშათა პარტიის ლიდერების დამსახურება, რომლებიც ჯერ კიდევ სჭირდებათ მათ თავის გეგმების გასატარებლად. ბოლდუინმა დიდი პათოსით მოიხსენია ბენ-ტერნერ-მაკდონალდების თანამშრომლობა, მათი სურვილი „წარმოებაში მშვიდობიანობის" შექმნისა და მოუწოდა მწარმოებლებს, რომ დაამყარონ მათთან თანამშრომლობა.

ბლეკპულმა უკარნახა კარლფს, რომ უფრო შორს წავიდენ რეაქციის გზაზე, რათა შენარჩუნებული იქნეს ის „იდეოლოგიური მანძილი", რომელიც ყოველთვის არსებობდა მუშათა პარტიისა და კონსერვატორებს შორის.

2

კონსერვატიული პარტიის ყრილობას მოყვა ინგლისის კომპარტიის მე-10 ყრილობა სალფორდში.

ინგლისის კომპარტია, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ორგანიზაციაა, უკვე საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს მუშათა ფართო მასებში. განვლილი ბრძოლების გაკვეთილზე ინგლისის მუშათა კლასი დარწმუნდა, რომ რეაქციისა და კაპიტალის მიერ დაწყებული შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება მხოლოდ კომპარტიის ხელმძღვანელობით არის შესაძლებელი და ამიტომაა, რომ მისი იდეური გავლენა მასებზე ასეთი სისწრაფით იზრდება.

კომპარტიის მორიგმა ყრილობამ სალფორდში გაბედულად აღმართა ბრძოლის დროშა რეაქციისა და სოც.-იმპერიალისტების წინააღმდეგ. სალფორდი დაუპირდაპირდა ბლეკპულის და კარდიფის შეთანხმებულ და გაერთიანებულ შემოტევას.

კომპარტიის ყრილობამ ფარდა ახადა გაკოტრებული ბელადების გამცემლობას და შუბლმაგართა იმპერიალისტურ გეგმებს. ყრილობამ ფიცი დასდო, რომ ინგლისელი კომუნისტები სიცოცხლეს შესწირავენ საბჭოთა კავშირის დაცვის საქმეს იმპერიალისტების ინტერვენციისაგან, რომ ისინი იბრძოლებენ კოლონიალური ერების განსათავისუფლებლად აღმოსავლეთში.

სალფორდის რევოლიუციონური სიმტკიცე და საერთაშორისო მუშათა კლასის თანაგრძნობა დაუპირდაპირდა ბლეკპულის გამცემლობას და კარდიფის რეაქციონურ-იმპერიალისტურ გეგმებს.

3

საფრანგეთის მემარჯვენეებმა მოახერხეს საფრანგეთ საბჭოთა მოლაპარაკების ჩასაშლელად დაწყებული კამპანიის კვლავ გაძლიერება და „ეროვნული მთლიანობის" მთავრობის თავის გავლენის ქვეშ დაყენება.

ანტი-საბჭოთა კამპანიაში საფრანგეთის რეაქციონერების ირგვლივ შემოკრბენ ყველა ისინი, ვინც დაინტერესებული არიან პოლიტიკურად და ეკონომიურად საბჭოთა კავშირის იზოლიაციით.

ანტი-საბჭოთა ინტრიგების მთავარმა ხელმძღვანელმა ჩემბერლენმა, საფრანგეთის მთავრობაზე გავლენის მოსახდენად, მოლაპარაკება გამართა ესპანეთის დიქტატორთან პრიმო დე-რივერასთან ტანჟერის საკითხის შესახებ, რომლის გარშემო დიდი დავა სწარმოებს საფრანგეთ-ესპანეთს შორის, რადგან უკანასკნელი მოითხოვს, რომ ტანჟერი მის ზონაში შედიოდეს მაროკოში, რაზედაც საფრანგეთი არ თანხმდება. ამ დიპლომატიური მანევრის შემდეგ, ჩემბერლენი ისევ ბრუნდება პარიზში ბრიანთან მოსალაპარაკებლად.

დაწყებული კამპანია ფინანსიურმა კრედიტორმა დეტერდინგმაც ველარ მოითმინა კამპანიის ლონდონიდან ხელმძღვანელობა და ისეც პარიზში ჩამოვიდა მეტი გავლენის მოსახდენათ. ზალესკიც არ ჩამორჩა რეაქციონერების ამ კონცერტს პარიზში, რომ პოლონეთის ერთგულება და სამსახური ერთხელ კიდევ გაეხსენებია ჩემბერლენ-პუანკარესათვის. საფრანგეთის ყოფილი ელჩი ნიკოლოზ მეორესთან და წარსული ინტერვენციის ინიციატორი ნულანსიც ჩაერია საქმეში და ცდილობს დაარწმუნოს საერთაშორისო რეაქცია, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მათ უნდა შექმნან საერთო ფრონტი და საბჭოთა კავშირის ვალების პრობლემა დააყენონ გადასაწყვეტად საერთაშორისო მასშტაბით.

ანტი-საბჭოთა კამპანიის ინიციატორების მთელმა ხროვამ უკვე მოიყარა თავი პარიზში, რომ საფრანგეთის რეაქციონერების მიერ დაწყებული კამპანია მოლაპარაკების ჩასაშლელად გამარჯვებით დაასრულონ.

მაგრამ საფრანგეთის მთავრობისათვის ძნელია მოლაპარაკების ჩაშლის ინიციატივის თავის-თავზე აღება. ამიტომ ეძებენ საშუალებებს პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად. მოლაპარაკების ჩაშლის მიზეზად გამოიყენონ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი რაკოვსკი და მის წინააღმდეგ აყენებენ სრულიად უაზრო ბრალდებებს

ამხ. რაკოვსკის წინააღმდეგ წამოყენებული „საბუთები", რა თქმა უნდა, მოგონილია საზოგადოებრივი აზრის მოსატყუილებლად. ეს ყველასათვის აშკარაა; ამას

არ უარყოფს საფრანგეთის რეაქციონური პრესაც. მილიერანის ორგანო „ავენირი" აცხადებს: „მოლაპარაკება არ მოგვცემს არავითარ შედეგს, ვინც არ უნდა ხელმძღვანელობდეს მას"-ო. „გოლუა" კიდევ უფრო გარკვეულად ამბობს: „საბჭოთა ყველა ემისარი, ვინც უნდა გამოგზავნონ მათ ჩვენთვის არა სასურველი იქნება"-ო.

უკვე გამოქვეყნებულია ამხ. ჩიჩერინის უკანასკნელი ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი, რომლითაც ამხ. რაკოვსკი უკვე გამოწვეულია საფრანგეთიდან და მის ადგილზე სხვა პირი იქნება დანიშნული. ვნახოთ: დაკმაყოფილდებიან თუ არა ამით საფრანგეთის პოლიტიკის ხელმძღვანელები?

4

პოლონეთის რეაქციონერებს დიდი ხანია შემუშავებული აქვთ ბალტიის ლიმიტროფების საწინააღმდეგო აგრესიული გეგმები, მაგრამ ეს დღემდე ვერ განუხორციელებიათ, რადგან ამის შესახებ ჯერ არა აქვთ მიღებული შესაფერი ბრძანება ინგლისს-საფრანგეთიდან.

პოლონეთის ასეთი გეგმა პირველ რიგში მიმართულია ლიტვის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ წარსულ წელს მოახდინა პილსუდსკიმ ამის ცდა. პოლონეთი არც ერთ ხელსაყრელ მომენტს არ უშვებს, არავითარ პროვოკაციას არ ერიდება, რომ შექმნას მიზეზი ლიტვის წინააღმდეგ ომის დასაწყებად.

ვილნოს ოკუპაციის შვიდი წლის თავის მოახლოვების წინ პილსუდსკიმ გააძლიერა ლიტველების საწინააღმდეგო რეპრესიები ვილნოში. ის არ დაკმაყოფილდა ლიტველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეობის დაპატიმრებით, მან დახურა ლიტველების ყოველგვარი კულტურული ორგანიზაციები.

პოლონეთის „პატრიოტების" საზოგადოებრივი აზრის დასამუშავებლად პოლონეთის რეაქციონურმა პრესამ გაავრცელა ყალბი ცნობები, რომ თითქოს ლიტვის კონსტიტუციის ახალ პროექტში ლიტვის სატახტო ქალაქად გამოცხადებული იყოს მათ მიერ ოკუპაცია-ქმნილი ვილნო.

ასეთი ინტრიგებით და პროვოკაციით პილსუდსკი ამზადებს ნიადაგს, ხოლო თანხმობის მისაღებათ საფრანგეთ-ინგლისის იმპერიალისტებისაგან პარიზში აგზავნის ზალესკის, რომელმაც ჩემბერლენ-პუანკარეებს უნდა მიაწოდოს კომპენსაციათ პოლონეთის ანტი-საბჭოთა ბლოკში შესვლა.

ზალესკის პარიზში გამგზავრების ასეთ მიზეზს ამჟღავნებს „ვარშავიანკა", რომელიც ამბობს: „ზალესკის პარიზში მოლაპაარკება ექნება ბრიან-ჩემბერლენთან ლიტვიის საკითხის ირგვლივ"-ო.

პილსუდსკიმ დიდი ზეიმი გადიხადა ვილნოს ოკუპაციის შვიდი წლის თავის აღსანიშნავად. ამ დღისათვის ვილნოში პოლონეთის ელჩიც კი იქნა გამოწვეული ლიტვიდან. პოლონეთის სოციალ-დემოკრატებიც არ დარჩენ ოკუპანტების დღესასწაულის გარეშე, მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მასში.

პოლონეთის რეაქციონერების ამ მორიგ საპროვოკაციო დემონსტრაციას ლიტვის მთავრობამ თავის მოქალაქეთადმი მოწოდებით უპასუხა, რომელშიც მოუწოდებს მოსახლეობას შეინარჩუნონ სიმშვიდე, არ აყვენ პოლონეთის პროვოკაციულ გამოწვევას, მიმართა აგრეთვე ერთა ლიგის მოსალოდნელი თავდასხმისაგან დასაცავად.

პოლონეთის რეაქციონერები საომრად ემზადებიან, პოლონეთის სოციალ-გამყიდველებიც მათთან ერიან, ხოლო საკითხების საბოლოო გადაწყვეტა ჩემბერლენ-პუანკარეების ხელთ არის.

კ. ჭეიშვილი.

# ინტრიგები ისევ გრძელდება

ერთა ლიგის უკანასკნელი სესიის დასრულების შემდეგ, რომლის მუშაობამ ინგლისის მთავრობას ვერ მოუტანა მაინცადამაინც დიდი შედეგები, ჩემბერლენი განაგრძობს დიპლომატიურ დარბაზობას ევროპის სახელმწიფოების მთავრობების სხვადასხვა მეთაურებთან.

ამას წინედ მან ინახულა ესპანეთის დიქტატორი პრიმო-დე-რივერა. თუმცა პრესის ცნობებით ეს შეხვედრა გამოწვეული იყო ერთმანეთის გაცნობის სურვილით, მაგრამ საკითხის განხილვას თუ არსებითად მიუდგებით, დავინახავთ, რომ ჩემბერლენისა და ესპანეთის დიქტატორის დარბაზობა მიზნად ისახავდა უფრო დიდი ამოცანების განხორციელებას, ვინემ პირადულ გაცნობას.

როგორც ცნობილია, ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას არ შეუძლია თავისი ზრახვების სისრულეში მოყვანა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თუ მან ანტი-საბჭოთა ბლოკში არ ჩაითრია პირველ ყოვლისა საფრანგეთი. ამასთან დაკავშირებით საჭირო ხდება საფრანგეთისათვის ერთგვარი კომპენსაციის მიცემა, რომლის გულისათვის ეს უკანასკნელი დათანხმდება ინგლისის მთავრობის წინადადებას. და სწორედ ესპანეთის დიქტატორთან დარბაზობაც ამ მიზანს ისახავდა.

ესპანეთ-საფრანგეთის ინტერესები მჭიდროდ არის დაკავშირებული მაროკოსა და ტანჟერის საკითხში. ამ მდიდარ ქვეყანას დიდ ხანია ყვლეფს და სძარცვავს როგორც საფრანგეთი, ისე ესპანეთიც. 1925 წელს მაროკოს ხალხმა ცნობილ აბდ-ელ ქერიმის მეთაურობით სასტიკი ბრძოლა გაუმართა იმპერიალისტურ ყაჩაღებს და ლამობდა მისგან განთავისუფლებას, მაგრამ საფრანგეთ-ესპანეთის შეერთებულმა ძალებმა საბოლოოდ მაინც სძლია მოწინააღმდეგე და ხელახლა დაიმორჩილა იგი. მაგრამ საქმე მარტო ამ გამარჯვებით როდი დასრულებულა. ჯერ კიდევ ნადავლის გაყოფაზე და აქ ამ ორი ქვეყნის ინტერესებს შორის თავი იჩინა წინააღმდეგობამ. ესპანეთის სურს მაროკოში ძველი მდგომარეობის შენარჩუნება, ხოლო საფრანგეთის იმპერიალისტები წინანდელი მდგომარეობით აღარ კმაყოფილდებიან და ცდილობენ ესპანელების მაროკოდან გამოძევებას.

ამ ნიადაგზე კარგა ხანს სწარმოებდა მოლაპარაკება საფრანგეთსა და ესპანეთს შორის, მაგრამ საკითხი საბოლოოდ მაინც არ არის მოწესრიგებული.

რა თქმა უნდა, ინგლისის ინტერესი მოითხოვს მაროკოში საფრანგეთის გავლენის შესუსტებას, მაგრამ ამჟამად, როდესაც კითხვა ეხება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაერთიანებული ფრონტის შექმნის საქმეს, მოსალოდნელია, ინგლისის მთავრობამ დროებით შეურიგდეს მაროკოს საკითხის საფრანგეთის სასარგებლოდ მოგვარებას.

აქედან აშკარაა, თუ რა მიზანს ისახავდა ჩემბერლენისა და პრიმა-დე-რივერას შეხვედრა. ჩემბერლენი ცდილობდა დაებრუნებია ესპანეთის დიქტატორი, რომ ის წასულიყო საფრანგეთის მიმართ ერთგვარ დათმობაზე.

დახამდვილებით არ შეიძლება იმის თქმა, თუ რა შედეგს მიაღწია ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა: მოაგვარა თუ არა მან ეს საკითხი? ესპანეთის ოფიციალური ცნობის მიხედვით, პრიმა-დე-რივერა „კატეგორიულად" უარყოფს გაზეთებში გავრცელებულ ხმებს, თითქოს ესპანეთი უარს ამბობდეს მაროკოზე.

როგორც არ უნდა შევხედოთ ამ განცხადებას, ერთი მაინც აშკარაა: ჩემბერლენისა და ესპანეთის დიქტატორის შეხვედრა მიზნად ისახავდა მაროკოს საკითხის მოგვარებას და, რამდენადაც შემდეგი ამბების მსვლელობა გვიჩვენებს, ამ შეხვედრას უშედეგოდ არ ჩაუვლია.

ამ დარბაზობის რამოდენიმე დღის შემდეგ ჩემბერლენი ეწვია პარიზს, სადაც ამავე დროს იმყოფება აგრეთვე

პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ზალესკი.

საფრანგეთის პრესა და საზოგადოებრივი აზრი ერთობ დიდ ყურადღებას აქცევს ბრიან-ჩემბერლენისა და ზალესკის მოლაპარაკებას. საფრანგეთის გაზეთები ამტკიცებენ, რომ საკითხი საბჭოთა კავშირთან საფრანგეთის, ინგლსის და პოლონეთის დამოკიდებულების შესახებ გახდება მსჯელობის სერიოზულ საგნათ ბრიანსა, ჩემბერლენსა და ზალესკის შორის.

გაზეთი „პარი მატინალი" სწერს: „ჩვენ არ ვლაპარაკობთ, რომ ანტი-საბჭოთა ფრონტი შეიქმნება უახლოეს დღეებში, მაგრამ საჭიროთ ვსთვლით ხაზგასმით აღვნიშნოთ, ჩემბერლენის და ზალესკის ერთ დროულად ჩამოსვლის ფაქტი".

კომუნისტური გაზეთის „იუმანიტე"-ს სიტყვით, „ჩემბერლენი და ბრიანი განიხილავენ საბჭოთა კავშირის გარემოცვის გეგმას, კერძოდ კი იმ საკითხს, თუ რა გზით ათქმევინონ ზალესკის უარი მოსკოვთან საგარანტიო ხელშეკრულებაზე".

ამ მოლაპარაკებაში მოპოლონეთის პოზიციის შესახებ ჯერ-ჯერობით ნაადრევია ლაპარაკი, ხოლო საფრანგეთის რეაქციონერები უკვე შეუდგენ თავიანთი ზრახვების განხორციელებას.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ამხ. რაკოვსკის გაწვევის ხელახალი მოთხოვნა საფრანგეთის მთავრობის მიერ უკვე პირდაპირი შედეგია ჩემბერლენ-ბრიანის შეხვედრისა.

თავის დროზე საფრანგეთის მთავრობამ სრულიად დამაკმაყოფილებლად სცნო საბჭოთა მთავრობის განმარტება რაკოვსკის გარშემო შექმნილ გაუგებრობის შესახებ.

ამჟამად კი საფრანგეთის მთავრობამ თავისი უგვანი საქციელის გასამართლებლად მიმართა მეორე არგუმენტს, მან მოიმიზეზა ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა საგარეო სამინისტროსთან შეუთანხმებლად გადასცა პრესას გამოსაქვეყნებლად ვალების საკითხის მოწესრიგების პირობებით.

საფრანგეთის წარმომადგენელმა საბჭოთა მთავრობასთან —ერბეტმა 7 ოქტომბერს გადასცა საგარეო საქმეთა კომისარს წერილობითი განცხადება, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: „საფრანგეთის მთავრობა საჭიროდ სთვლის კვლავ აღნიშნოს, რომ ორივე ქვეყნის შორის ურთიერთობის გაწყვეტის საკითხი არ დასმულა არც ერთი წუთით. რაკოვსკის საქმე იყო და რჩება პიროვნების საკითხად და ამ საქმის მოგვარების ერთად ერთ მიზანს შეადგენს უზრუნველყოს პოლიტიკურ და ეკონომიურ მოლაპარაკების წარმატების შესაძლებლობა. ეს მოლაპარაკება შეიძლება სასურველად დაბოლოვდეს მხოლოდ ურთიერთისადმი ნდობის ატმოსფერაში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელსა და რესპუბლიკის მთავრობის შორის".

თუ ეს სიტყვები გულწრფელად არის ნათქვამი, თუ საფრანგეთის მთავრობა მართლა არის მოწადინებული მოლაპარაკებისა და შეთანხმების სასურველად დაბოლოვებაში, იმ შემთხვევაში არავითარი საბაბი არ არსებობდა რაკოვსკის გამოწვევის ხელახალი მოთხოვნისათვის.

ის პიროვნება, რომელიც ორი წელიწადია სათავეშა უდგია ამ მოლაპარაკებას, გაცნობილია საქმეს და გულწრფელადაც არის დაინტერესებული ამ ორ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით, სწორ ჩეს ამ თანამდებობაზე და განაგრძოს მოლაპარაკება.

მაგრამ საქმე იმაში კი არ არის, რაკოვსკი დარჩება საფრანგეთში საბჭოთა წარმომადგენლად, თუ რომელიმე სხვა პიროვნება, საქმე ამ ორ სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობის საკითხშია და აქ საფრანგეთის საკმაოდ რეაქციონურ მთავრობაზე დიდი გავლენას ახდენენ როგორც გარეშე, ისე შინაური არხი-რეაქციონური ძალებიც, რომელთა მიზანია ახალი ომის გაჩაღება და ამ ომში საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხის ჩათრევა.

საბჭოთა მთავრობამ მშვიდობიანობის ინტერესების უზრუნველსაყოფად საფრანგეთის მიმართ წავიდა მაქსიმალურ დათმობაზე. მან თანხმობა განაცხადა 62 წლის გახმავლობაში წლიურად გადაეხადა 60 მილიონი ოქროს ფრანკი იმ წვრილი მევალეების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალდენ, მხოლოდ იმ პირობით, რომ საფრანგეთს საბჭოთა კავშირისთვის უნდა უზრუნველეყო კრედიტები, რომელსაც მოახმარდა ქვეყნის ინდუსტრიის განვითარებას.

ობლიგაციის წვრილი მესაკუთრეებისათვის ეს პირობები სავსებით მისაღები აღმოჩნდა, რომლებმაც მოითხოვეს შეთანხმების დადასტურება. მაგრამ შეთანხმება მიუღებელია იმ ერთი მუჭა მუქთახორებისათვის, რომლებსაც ოქტომბრის რევოლიუციამ საბჭოთა კავშირის [illegible] ჩამოართვა ფაბრიკა-ქარხნები და ნავთისა და ნახშირის სამრეწველოები. ამ შეურიგებელ ჯგუფს მეთაურობს ცნობილი რეაქციონერი ნულანსი, რომელსაც ამ დღეებში საფრანგეთის მთავრობას წარუდგინა მოთხოვნილება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ მოვალეების სახელით. ნულანსი ის პიროვნება, რომელიც 1922 წელს ევროპის იმპერიალისტებმა გამოგზავნეს საბჭოთა კავშირში ვითომდა მოუსავლობით დაზარალებულ მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენათ, ნამდვილად კი ის შეეცადა სიმშილობის ნიადაგზე მოეხდინა აჯანყება და დაემარცხებია საბჭოთა ხელისუფლება.

აი, ასეთი პიროვნებები და ჯგუფები, რა თქმა უნდა, ვერასოდეს ვერ შეურიგდებიან საბჭოთა კავშირთან შეთანხმებას.

როგორი მიმდინარეობაც არ უნდა მიიღოს მომავალში საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობამ, ერთი მაინც ცხადია, რომ სანამ ინგლის-საფრანგეთის მართვა-გამგეობის სათავეში დარჩებიან არსებული მთავრობები, ინტრიგებს ბოლო არ მოეღება; ის გა[illegible]ნამ ევროპის მუშათა კლასი არ დაამხობს კაპიტალისტურ წყობილებას.

ეს გარემოება მშვენივრად აქვს გათვალისწინებული საბჭოთა ხელისუფლებას და ის ეყრდნობა არა კაპიტალისტური ქვეყნების მესვეურთა იმედზე, არამედ შინაურ და საერთაშორისო მუშათა კლასზე.

ამ მხრივ მდგომარეობა ფრიად ხელსაყრელია, რაც სჩანს შემდეგი გარემოებებიდან: თუმცა ინგლისის მუშათა პარტიის ბელადებმა ბლეკპულის ყრილობაზე სოციალიზმი მეორე ხარისხის საქმედ გამოაცხადეს, მაგრამ ინგლისის მუშათა კლასი როდი ფიქრობს ასე. მიუხედავად რეფორმისტების ყოველგვარ წინააღმდეგობებისა, მუშათა კალსის გამემარცხენება ჩქარის ტემპით მიდის წინ. ეს დაამტკიცა როგორც ინგლისის კომპარტიის უკანასკნელმა ყრილობამ, ისე გერმანიაში—ჰამბურგსა და კენიგსბერგში ამ დღეებში ჩატარებულმა სამუნიციპალო არჩევნებმა, სადაც გერმანიის კომუნისტურ პარტიას ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა. ამ ფაქტმა უკვე აალაპარაკა გერმანიის რეაქციონური პრესა და მათი განგაში საფუძვლიანიც არის. თუმცა კომუნისტური პარტია საყოველთაო არჩევნებზე არ ამყარებს განსაკუთრებულ იმედებს, მგავსად მსოფლიო მენშევიზმისა, მაგრამ მასების სულიერი განწყობილების გამოსახატავად მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამრიგად, დროებითი დაქანცულობისა და დაბნეულობის შემდეგ, მუშათა კლასი კვლავ წელში იმართება და გადამწყვეტ მბრძოლისათვის იარაზმება. ეს დარაზმვა კი კომუნისტური პარტიების დროშის ქვეშ ხდება. რაც საკმაოდ დიდი საწინდარია საბჭოთა კავშირის განმტკიცებისა და საბოლოო გამარჯვებისათვის.

გამარჯვების უდიდესი თავდებია საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა ნებისყოფა და სიმტკიცე. ეს ნებისყოფა კი დღეს მან გამოხატა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების ხელის მოწერაში, რომლის გასაღების საქმე წარმატებით მიმდინარეობს. ეს გარემოებაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი საბოლოო გამარჯვების უზრუნველყოფას.

ს. ელიაძე.

# სასწმაროთ, გასართობათ

ემიგრაციაში მყოფ ქართველ ფაშისტების ყოველთვიურ ორგანო „თეთრი გიორგის" მეშვიდე ნომერში შემდეგს ვკითხულობთ:

„ბრძანება: № 52.

„ყველა თეთრ გიორგელს ეძლევა ბრძანება წელიწადში ორი დღე—25 თებერვალს რუსების მიერ თბილისის აღების დღეს და 9 მაისს—**იმარხულოს:**

„არ უნდა მიიღოს არავითარი საჭმელი და გაატაროს დღე შრომაში საერო მიზნისთვის, ლოცვაში სამშობლოსათვის და სულიერად შეუერთდეს ამ მწარე ეროვნულ დღეებს.

**დირექტორია".**

პარიზი, 23 აგვისტო.

ასეთი „ბრძანებით" მიმართავს ხოლმე ქართველი ფაშისტების „დირექტორია" თავის მრევლს თეთრგიორგელებს. მაგრამ, ეტყობა, დირექტორიას შეშინებია, რომ თეთრგიორგელებს მეტი „მარხულობა" არ მოუვიდესო და იქვე, ამ „ბრძანების" ქვემოთ ასეთ განცხადებას ბეჭდავს:

„ALLAHVERDI"
Rue Delambre, 33.

**ჩადით ქართულ სარდაფში: „ალავერდ''-ში. მუსიკა—სიმღერა — ლეკური! ქართული სამზარეულო—ჩიხირთმა, საცივი, სუკის მწვადები — ღვინო დოქებით!**

სამწუხაროდ, პატივცემული „დირექტორია" არ აცხადებს, თუ რა სიმღერები უნდა იმღეროს თეთრგიორგელებმა „ალავერდ"-ში, როცა ღვინოს დოქებით მიირთმევენ. მაგრამ უამისოდაც ცხადია, რომ იქ პირველობა აკაკის ლექსს დაეთმობა:

...ჩემო სამშობლო მხარეო!<br>
შენი ვარ, შენთვის ოოვკვდები,<br>
'ძენზედა მგლოვიარეო".

რა უშავს საქართველოს? მის ბედს ძაღლიც არ დაყეფს.

**პრ.**

# ორი გზა

დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკური პირობები საქართველოს მშრომელ ქალებსაც გვიყენებს მრავალ ამოცანებს და ამ ამოცანების გვერდის ავლა დანაშაულათ ჩაეთვლება ყველა იმას, ვისაც მუშათა განთავისუფლების საქმეში რაიმე წვლილი მიუძღვის.

ლაპარაკი იმაზე თუ ოქტომბრის რევოლიუცია უდღეური არის, დღეს თუ ხვალ პროლეტარიატის დიქტატურა დაინგრევა—ეს ოქტომბრის რევოლიუციის მტრების მიერ მოჭორებული ამბავი გამოდგა, და დღეს ეს ზღაპარი აღარავის სჯერა. პირიქით, ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავი კარზე გვიკაკუნებს და ამ ათ წლის განმავლობაში უკვე განმტკიცდა და გაძლიერდა ამ რევოლიუციის მონაპოვარი.

რამდენად ძლიერდება და სასიცოცხლოდ სუნთქავს რევოლიუციის ორგანიზმი, მით უფრო ბრაზი მოსდის იმპერიალისტურ ქვეყნებს, მით უფრო ემზადება იმპერიალიზმი რევოლიუციის შესამუსრავად და საბჭოთა რესპუბლიკებში შავი რეაქციის დროშის აღსამართავად.

წარსულში, 1905 წლებში, ჩვენ გვახსოვს რევოლიუციის დამარცხების მწარე დღეები, ჩვენ გვახსოვს რეაქციის თარეში იმერეთში, გურიაში და საერთოდ იქ, სადაც თვითმპყრობელობის ჯალათებს რევოლუციის ერთგული დარაჯები ეგულებოდათ. ჩვენ გვახსოვს ალიხანოვ-ავარიელის დამსჯელი ექსპედიციები, რომელიც ცეცხლითა და მახვილით მოედო მთელ დაბა-სოფლებს, გადასწვა და განადგურა საუკეთესო რევოლიუციონერთა სახლ-კარი, გააუპატიურეს მრავალი ქალი, რევოლიუციის სულის ჩამდგმელნი ციხე-კატორღებში გაგზავნეს და მით ქვეყანა „დაამშვიდეს".

მაგრამ პირველი რევოლიუციის დამარცხების შედეგების წარმოდგენა თუ მწარე მოგონებით ავსებს ჩვენს გულს, მეორე რევოლიუციის 10 წლის თავს იდღესასწაულებს მშრომელი კლასი. და ჩვენ, ყველა მშრომელმა ქალებმა, მტკიცეთ უნდა აღიბეჭდოთ თავის გონებაში აი ამ მეორე რევოლიუციის სამსახური და მისი საბოლოო გამარჯვებას შევსწიროთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე და სიცოცხლე.

1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შედეგები მხოლოდ სუსტი მოგონება იქნება იმასთან შედარებით, თუ დღევანდელმა რევოლიუციამ განიცადა მარცხი. ბურჟუაზიამ თავისი საკუთარი თვალებით დაინახა, თუ რა მძლეთა-მძლეა გამარჯვებული პროლეტარიატი. და თუ ბურჟუაზიამ შესძლო ამ გამარჯვებული გოლიათის დამარცხება, სასტიკად დაუნდობლად გაუსწორდება იგი თავის კლასობრივ მტრებს. ის მიწასთან გაასწორებ ყველას და ყველაფერს, რაც ოქტომბრის რევოლიუციამ მისცა მშრომელ ხალხს. ყველაზე უფრო მეტს დედაკაცი დაკარგავს. ქალთა უფლებებზე ლაპარაკი ბურჟუაზიას სიცილს გვრის მხოლოდ, და ამიტომ ქალთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება რევოლიუციის დამარცხების შემდეგ. ვინემ ეს არის თუნდაც „კულტურულ" ევროპაში, სადაც დედაკაცი მხოლოდ მამაკაცთა გასართობ საგნად არის მიჩნეული.

ჩვენს შემეცნებაში არის დღეს გადაშლილი ორი გზა, გზა საბჭოთა წყობილებისაკენ, მისი დაცვისა და გზა იმპერიალისტური წყობილებისაკენ. დღეს ევროპის იმპერიალისტური ქვეყნები მახვილს ლესვენ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ და ემზადებიან გამანადგურებელი ომისათვის. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, თუ საით უნდა წავიდენ ის მშრომელი ქალები, რომლებიც მენშევიკურ ან სხვა სოციალისტურ პარტიებში მუშაობდენ და დღეს პასიურ, უპასუხისმგებლო ელემენტებათ გამხდარან. ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ ყოფილი მენშევიკი და სხვა სოციალისტური პარტიის მიმდევარი ქალები შესდგება პირველ გზაზე. ისინი წავლენ რევოლიუციის გზით, რომელსაც მივყავართ სოციალიზმისაკენ. სხვა გზა ჩვენთვის წარმოუდგენელი და მიუღებელია. ყოველივე გადადგმული ნაბიჯი, რომელიც გვაშორებს რევოლიუციას, არის დამღუპველი მშრომელი ხალხისათვის და კერძოდ ჩვენი, დედაკაცებისათვის.

არ არსებობს საშუალო ხაზი რევოლიუციასა და რეაქციას შორის. ქართველი ემიგრაციის ხაზი იქნებ ვინმეს საშუალო ხაზად მოეჩვენოს და აქ აპირებდეს თავის შეფარებას. ეს კი განმეორება იქნება 1924 წლისა, რომელმაც მრავალი მსხვერპლი გააღებინა ქართველ ხალხს. მაგრამ ამ გზას კარგა ხანია, ჩამოსცილდა საქართველოს როგორც მუშათა კლასი, ისე მშრომელი ინტელიგენცია. დღეს საქართველოს მთელი სასიცოცხლო ელემენტები

საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად აკეთებენ იმ დიდ საქმეს, რასაც ქვეყნის აღმშენებლობა ქვია და რაც დღეს ასეთი დიდი ტემპით სწარმოებს საქართველოში.

ჩვენ, საქართველოს მშრომელ ქალებს, რომელთაც ძვირად გვიღირსთ ჯერ თავისი ქვეყნის ინტერესები და შემდეგ რევოლიუციით მონაპოვარ პირად თავისუფლებანი, ჩვენ ზედმეტად გვმართებს და გვევალება დავადგეთ რევოლიუციის გზას და შევინარჩუნოთ ოქტომბრის მონაპოვარი.

სხვა გზას მივყევართ მხოლოდ ქვეყნის განადგურებისაკენ, მხოლოდ რეაქციისაკენ. ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე ჩვენ ჯამი უნდა გაუკეთოთ წარსულ შეცდომებს და მტკიცეთ დავიცვათ ის, რაც გვაქვს დღეს.

ოლიმპიადა ბაქრაძე.

# ორი სამკუთხედი და ჩინეთი

უდიდესი ისტორიული მოვლენა, რომლის ასპარეზი ამჟამად შორეული აღმოსავლეთია, წარმოადგენს მრავალი ათეული წლების პოლიტიკური მიდრეკილების შედეგს, რასაც კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალიზმი ეწოდება. თუ მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა ევროპის ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება კარდინალურათ შესცვალა. სამემკვიდრეო მონარქიები საბოლოოთ ისტორიას ჩაბარდა, მუშათა კლასს ახალი მეტი იმედით მოცული მომავალი გაეხსნა, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში უზარმაზარი რუსეთი სოციალისტური მომავალის უშუალო წინამორბედით იქცა. შორეულ აღმოსავლეთში დანთებული ცეცხლი დაფერფლავს ყველა იმ საფუძვლებს, რომლებზედაც ასეული წლების განმავლობაში შენდებოდა დიდ ოკეანეს სანაპიროებზე გაშლილი ქვეყნების ეკონომიური დაბეჩავება და პოლიტიკური დამონავება.

[illegible]ალისტურ ომამდე ევროპის ყველა სახელმწიფოებს დიდი ოკეანესაკენ ჰქონდა თავისი ყურადღება მიპყრობილი. ამ ყურადღების მთავარ ცენტრს წარმოადგენდა ჩინეთი და ყველა ის კუნძულები და კუნძულთა წყებები, რომლებიც ეკონომიურათ ასე თუ ისე მნიშვნელოვანი იყო, როგორც საექპლოატაციო პუნქტი, ისე სტრატეგიული მნიშვნელობით. ევროპის იმპერიალიზმის რიგებში მაშინდელ რუსეთთან ერთად ჩამდგარი იყო იაპონია და შეერთებული შტატები.

განსაკუთრებულ ენერგიას იჩენდა პატარა იაპონია, რომელიც თავის კუნძულებზე ველარ ეტეოდა და ბუნ[illegible] აზიის კონტინენტისაკენ მიიწევდა. იაპონიის გაძლიერებულ ექსპანსივობისა და ოკეანეს ქვეყნებთა შორის მესაჭის როლის დაჭერის სურვილის აშკარა გამოხატულება იყო რუსეთ-იაპონიის ომი. შეერთებული შტატების წყნარი ოკეანეში გამოსვლა შედარებით ახალი ამბავია. სანამ შეერთებული შტატებისათვის შინაური კოლონიზაციის საკითხი საბოლოოთ არ იყო მოგვარებული. სანამდი ბუნებით მდიდარი და კარგი ნიადაგით დაჯილდოვებული კალიფორნიის სანაპიროები არ გაშენდა, დიდი ოკეანეს პრობლემაც მხოლოდ თეორეტიული საკითხი იყო ახლად აღორძინე[illegible]ჩაზე შემდგარი იანკეეს კაპიტალისათვის. პანამის არხის გაყვანამ და შეერთებული შტატების დასავლეთის ნაწილის ეკონომიურათ გაძლიერებამ წყნარი ოკეანეს ტალღების ჰორიზონტზე ახალი ძალა ამოატივტივა, რომელმაც უპირველეს ყოვლისა თავისი სიძლიერე პატარა იპონიის გაფართოებისადმი მიდრეკილებას დაუყენა წინ. ომამდის იაპონიის და ჩინეთის ჩრდილო აღმოსავლეთის წყლებში გერმანია იყო ჩაჩხირული. ომმა გერმანეთი დიდ ოკეანეს სრულებით ჩამოაცილა. ამას დაემატა 1917 წლიდან ყოფილი რუსეთის ინტერესების დროებით მიჩქმალვა, ასე, რომ დიდი ოკეანე დარჩა საჯიროთ მოედნათ იაპონიას, შეერთებულ შტატების და ძველის-ძველათ იქ ფეხმოკიდებულ დიდ ბრიტანეთს.

დიდი ოკეანე და მის სანაპიროებზე გაშლილი ჩინეთი საუკუნოების განმავლობაში წარმოადგენდა ხელსაყრელ საყვლეფ ობიექტს დასავლეთის კაპიტალის ვეშაპებისათვის. მრავალი ათეული საუკუნოების განმავლობაში თავის შინაურ ცხოვრების. მის ყოველგვარ დაღებით და უარყოფით მოვლენათა ზეგავლენის ქვეშ მყოფი ჩინეთი, ევროპის კაპიტალის ყურადღების ღირსად ხდება ჯერ კიდევ მე-15—16 საუკუნეში. ახლად ფრთა ასხმული სავაჭრო კაპიტალი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს შეიჭრას უცხო ქვეყნებში. მრავალი სპეციალურათ საგარეო ვაჭრობის მიზნით შექმნილი საზოგადოებები, რომელთა საქმიანობა მთავრობების ლოცვა-კურთხევით და მილიტარული დახმარებით გვირგვინდებოდა, აღნიშნულ პერიოდში მოედვა აზიის, ამერიკის და აფრიკის ქვეყნებს. მაშინდელი სავაჭრო და სამრეწველო პოლიტიკა ოქროს დაგროვების ჰიპნოზის ქვეშ იმყოფებოდა და თავის მიზნის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა. ამ მხრივ პირველი პიონერები იყვენ ჰოლანდიელები, რომელთა ე. წ. კოლონიალური აღმოსავლეთ-ინდოეთის საზოგადოება მეტის-მეტად ინტენსიურ სპეკულიაციას აწარმოებდა აზიის ქვეყნებში, უმეტესად ინდოეთის ოკეანეს სანაპიროებზე.

მალე ჰოლანდიის მაგალითს სხვა ქვეყნებიც გაჰყვა. საფრანგეთმა და ინგლისმა ამ მხრივ სულ მოკლე ხანში ჰეგემონია ხელში ჩაიგდეს.

საფრანგეთისა და ინგლისის ვაჭრებმა ჩინეთის მთავრობის სასტიკი, მაგრამ უშედეგო წინააღმდეგობის შემდეგ სასურველ შედეგს მიაღწიეს. 1660 წელს პირველად ფრანგებს მიეცა თავისუფალი ვაჭრობის უფლება. ათი [illegible] ტოლითივე უფლება მიენიჭა ინგლისელებს. მაგრამ 1693 წელს ინგლისელების უფლება შეკვეცილ იქნა მხოლოდ კანტონზე. 23 წლის ინგლისელებთან დამოკიდებულებამ ჩინელები მეჩვიდმეტე საუკუნეშივე დაარწმუნა თუ რა კეთილი მიზნებით და სურვილებით იყვენ მოსული მათ ქვეყანაში ინგლისელები ამ ხნიდან იწყება ინგლისის გავლენის თანდათანობით გაძლიერება. ინგლისი თანდათანობით იპყრობს ამ ქვეყნის მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტებს და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში იგი უკვე მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება ჩინეთის როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაში. ოფიციალურად 1693 წლის უფლების შეკვეცა ძალაში იყო დარჩენილი, მაგრამ ფაქტიურათ ინგლისის კაპიტალი უკვე გაბატონებული იყო ჩინეთის მთელ აღმოსავლეთ ნაწილში. ინგლისელები მე-19 საუკუნის დასაწყისში შეეცადენ თავის უფლებების გაფართოებას, მაგრამ ჩინეთის მთავრობის წინააღმდეგობა ძლიერი აღმოჩნდა. ინგლისი საბოლოოდ იღებს ხელში ჰეგემონიას მხოლოდ ეგრედწოდებულ ოპიუმის ომის შემდეგ. მიუხედავათ ოპიუმით ვაჭრობის აკრძალვისა ინგლისელი ვაჭრები აწარმოებდენ ჩინეთში ოპიუმის კონტრაბანდათ შეტანას. რასაც შედეგათ მოჰყვა 1839 წ. 2 ნახ. მილ. გირ. სტერლინგის ოპიუმის რეკვიზიცია და კონტრაბანდისტების წინააღმდეგ სამეფო ედიქტის გამოცემა, რომლის დამრღვევიც სიკვდილით ისჯებოდა. ეს შემთხვევა ინგლისის მაშინდელი პოლიტიკის მეთაურის ლორდ ნაპერისთვის ხელსაყრელი მიზეზი გამოდგა აქტიური გამოსვლისათვის. გაჩაღდა „ოპიუმის ომი“, რის შემდეგ იყო ისა, რომ ჩინეთის მთავრობამ კაპიტულიაცია გამოაცხადა, ყოველგვარი ზარალი აანაზღაურა და ამით ინგლისელებს ფართო ასპარეზი გაუხსნა თავის ბატონობის გასაძლიერებლათ.

იმავე მე19 საუკუნის მიწურულში შეერთებული შტატებიც ჩაება დიდი ოკეანეს კონცერტში. გაიმართა სასტიკი ბრძოლა ორი ძლიერ ძალთა შორის. ერთის მხრივ იყო ახლად ფეხმოკიდებული ამერიკანიზმი, ხოლო მეო-

რე მხრით ძველიდან ცნობილი ევროპის „ცივილიზაცია“, რომელც უკვე შეურყეველ ფაქტორს წარმოადგენდა. ამ ორი ძლიერი ფაქტორის ბრძოლის შედეგი იყო 1911 წლის რევოლიუცია, რომელმაც ჩინეთის ცენტრალური მთავრობა საბოლოოთ დაასუსტა და წინა წამოაყენა ახალი ფაქტორი. ეს იყო და არის პროვინციები და მათი გენერლები, რომლებმაც თავისი საკუთარი ჯარები შექმნეს.

როგორც იაპონიას უკვე მადა გაეხსნა და, რადგანაც მსოფლიო ინგლისი და ომში გართული შეერთებული შტატები დიდი ოკეანეს პრობლემას საჭირო ყურადღებას ვერ აქცევდენ, იაპონია შეეცადა ხელსაყრელი დროის გამოყენებას და მიყო ხელი თავისი პოზიციების გამაგრებას. ასე და ამრიგად სრულიად ბუნებრივად შეიქმნა პოლიტიკური სამკუთხედი: ინგლისი, ამერიკა და აპონია. ეს სამკუთხედი მთლიანად ეყრდნობა დიდი ოკეანესა და ჩინეთის პრობლემას. 1915 წლიდან დაწყებული, ვიდრე ვაშინგტონის კონფერენციამდე (1921 წლის დეკემბრიდან 1922 წლის თებერვლამდე.) ეს ახალი პოლიტიკური კონსტელიაცია წარმოადგენდა წყნარე ოკეანეს პრობლემის გადამწყვეტ ფაქტორს.

რაში გამოიხატებოდა ამ ახალი ფაქტორის საქმიანობა და მიზნები, როგორი იყო ძალთა შორის განწყობილება?

ამაზე შემდეგ.

**იპ. ნარსია.**

# რაჭა-ლეჩხუმის ცენტრებთან დაახლოვებისათვის

საქართველოს ერთი კუთხე არ არის ისე დაშორებული ეკონომიურ ცენტრებს, როგორც რაჭა-ლეჩხუმია. ამ ორ მაზრას აკრავს სვანეთიც თავისი ულრანი ტყეებით და უამრავი, ჯერ ხელუხლებელი ბუნებრივი სიმდიდრით, სვანეთის მიმატებით ლეჩხუმის მაზრა საქართველოს მაზრებს შორის ყველაზე დიდია სივრცით. რიონისა და ცხენის წყალის ხეობები მდიდარია თავის იშვიათი ფლორითა და ფაუნით. ამ ხეობების ტყეები უამრავ მასალას შეიცავს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. ამავე მაზრეზის ნოყიერი ქალები მოფენილია კულტურულათ გაშენებულ ვენახებით, რომლის იშვიათი ღვინო, უგზოობის გამო, დღეს ბაზარს ვერ პოულობს. ამის გამო ის თბილისქუთაისის ბაზარზედაც ერთი ორათ ძვირი ღირს (მაგ., „ხვანჭკარა“).

ეგევე მაზრები საკსეა ფრიად საჭირო და ფასიანი მადნეულობით. უკვე ცნობილი სიკორწმინდის ლიტოგრაფიისა და ცემენტის ქვა, პირველ ხარისხოვნათ ითვლება; მრავალია რაჭის მთებში გაბნეული ტყვიისა და ვერცხლის მადნები, აქვე ერთად ბევრია ნაპოვნი მარგანეცის ნიმუშებიც. უწერის და სოჩის გაზიანი წყლები საუკეთესო თვისებისათ ითვლებიან. საკურორტო ადგილებით ხომ განთქმულია რაჭა. შოვი აქ გამონაკლის არ წარმოადგენს.

მდინარეთა ვიწრო და კლდოვანი კალაპოტები დიდათ აადვილებენ და აიაფებენ მრავალ ჰიდრო-სადგურის აშენების პირობებს. დიდი ხანია რაც უკვე დამუშავებულია პროექტი, მდინარე რიონზე. სოფ. ხიდიკარში ასაშენებელი ჰიდრო-სადგურისათვის, რომელსაც შეუძლია უდიდესი ელექტრო-ძალა მიაწოდოს თვით ასეთ საწარმოო ცენტრს, როგორიც ჭიათურაა. ამავე მაზრაში აშენდა მდინარე რიცეულზე პატარა, მაგრამ მკვიდრი ელექტრო-სადგური, რომელიც შესაძლებლობას ქმნის დამუშავდეს უხვი მთის ულეველი სატყეო მასალა.

რაჭველები სოციალ-ეკონომიურად სრულიად განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებიან. სახნავი მიწის სივიწროვე, რაჭველ კაცს, ბავშობიდანვე ერეკება თავის მაზრიდან სხვა და სხვა ეკონომიურ ცენტრებისაკენ.

რაჭველი კაცი, ბუნებისაგან ჯან-ღონით უხვად დაჯილდოვებული და შრომის სიყვარულითაც ჩვენი ერის ყველა ტომებზე წინა სდგას. ვისაც რაჭის სახლები არ უნახავს ეს თქმა მას გადაჭარბებულათ მოეჩვენება. აქაური ხის სახლები საუკეთესო ილიუსტრაციას წარმოადგენს. ეს იმის შედეგია, რომ რაჭველი კაცი არა თუ საქართველოსა და რუსეთის კულტურულ ცენტრებისაკენ მიისწრაფვის,—არამედ ამერიკის ქალაქებშიც. ბევრი მიდის, თავის სამუშაო ძალის გასაყიდათ. ამის გამო მრავალია რაჭაში, დურგალი, მჭედელი, ზეინკალი, მეჭურჭლე, იარაღისა და სხვა და სხვა ხელ-ჭურჭლის ხელოსანი; მზარეული, მცხობელი, მეკონდიტრე, მეღვინე და სხვა.

ძვირათ ნახავთ რაჭველ კაცს რაიმე ხელობა არ იცოდეს და ხშირათ ერთმა რამდენიმე: ეს ჩვენი ერის ნაერთო ნიჭიერების და კერძოთ, ამ ტომის დიდი მუყაითობის და თავდაუზოგავი შრომის მოყვარობის შედეგია, შრომის მოყვარეობის მხრივ რაჭველი გლეხი, გერმანელ და ფრანგ გლეხს არ ჩამორჩება.

ყველა ამ სიმდიდრის პატრონი მაზრა ისე დაშორებულია ეკონომიურ ცენტრებს, რომ მისი ბუნებრივი სიმდიდრე ილუპვის და ხალხის ენერგია ცენტრამდი მიღწევამდის უფასოთ იხარჯვის.

ახლა განვიხილოთ ლეჩხუმის მაზრა: აქაც მრავალია მადნეული. აქაური მადნები ბარიტისა, დიდებული ხარისხისაა, რომელიც დღეს ფრიად პრიმიტიულად მუშავდება და ადამის დროს პაწია „ურმიკალათი“ მოაჩოჩიალებენ ქუთაისამდის. ყოფილი საგელვანოსი, წიფერჩისა, და ქვემო-სვანეთის ტყეები უგზოობის გამო თითქმის ხელ უხლებელი რჩებიან...

შრომის მოყვარეობა არც ლეჩხუმელი გლეხისაა დასაძრახისი. ისიც ყიდის თავის სამუშაო ძალას. ის იძულებულია 60—80 ვერსის მანძილზე იაროს ფეხით და ეძიოს სამუშევარი, საიდანაც ის ხშირათ, ხელცარიელი ბრუნდება...

ლეჩხუმის მაზრას ზედვე აკრავს ქვემო-სვანეთი. ე. ი. მდინარე ცხენის-წყალის ხეობის ნახევარზე მეტი. აქ ულევული ტყეებით მოფენილი მთების ფერდოები, სავსეა უზარმაზარი, ფიჭვისა, ნაძვისა, სოჭის, მუხის, წაბლის და სხვა ხეებით. სახიფათო გზების გამო არა თუ ტყის დამუშავება, წესიერი მიმოსვლაც ვერ ხერხდება, ამ ტყის წყლით ექსპორტი იწვევს უამრავ მატერიალურ ზარალს ხე-ტყის დაკარგვით, დამტვრევით და მასთან მუშა კაცის მსხვერპლიც მრავალია. ქვემო-სვანეთში ლაშხეთის მჟავე წყლისა და აგარაკის ჰაერის მაკურნებელი თვისება დიდია; მაგრამ ამით დღეს თითქმის ლეჩხუმის ზემო ნაწილიც ვერ სარგებლობს. ეს კუთხე ამავე უგზოობის გამო ძლიერ ჩამორჩენილია კულტურულ-ეკონომიური მხრით და სანამ ასეთი მდგომარეობა იქნება იქ კულტურის ციცინათელაც ვერ შეფრინდება.

რა გამოიყვანს ამ მაზრას ასეთი დუხჭირი მდგომარეობიდან? გზა და მხოლოდ გზა!

რასაკვირველია ისეთი ვიწრო, შორი და უხერხული გზატკეცილი, როგორიც რაჭა-ლეჩხუმის გზატკეცილია, ზემო ჩამოთვლილ მიზნებს ოდნავადაც ვერ ემსახურება. საჭიროა სასწრაფო ყურადღება და მეტი ზრუნვა, რომ ამ სამ მაზრას რკინის გზის გაყვანა მოუხერხოთ. ამ მიმართულებით რკ. გზის გაყვანის პროექტი კიდევ 1904 წელს შესდგა. უცხოელთა კონცესიონერებმა საკმაო მუშაობა აწარმოებს ამის დაგეგმვისათვის. მაგრამ მეფის ხელისუფლებისათვის არ იყო ხელსაყრელი ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური აღორძინება, და მასთან ამ მაზრებში ის რუსიფიკატორულ კოლონიზაციას ვერ მოახდენდა.

გასაბჭოების შემდეგ საქართველოში ბევრი დიდი მნიშვნელობის ეკონომიური საქმეები გაკეთდა. პრინციპიალურად რაჭა-ლეჩხუმის რკ. გზის გაყვანაზეც იყო ლაპარაკი. მაშასადამე, საბჭ. აღმშენებლობის მომავალ გეგ-

მიანობაში ამას დაეთმობა შესაფერი ადგილი. ამიტომ საქმის სარგებლობისა და სიჩქარისათვის საჭიროთ მიმაჩნია აქვე გამოვსთქვათ მოკლე და პრაქტიკული აზრი, თუ საიდან სჯობია გავიდეს რკ. გზა რაჭა-ლეჩხუმში; საიდან უფრო მოხერხებული, იაფი და ხელსაყრელი იქნება ამ საქმის დაწყება... ჩვენ განსაზღვრულ ეკონომიურ შესაძლებლობასა და მრავალ სასურველ აღმშენებლობის გეგმიანობაში სიიაფეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ვფიქრობ, აღრევე განზრახული მიმართულებით, ან ეგრედ წოდებულ ოსეთის გზატკეცილით რკ. გზის გაყვანა ძლიერ ძნელია და ძვირიც დაჯდება. ამ მიმართულებით მდ. რიონის ხეობა ძლიერ დაკლაკნილია და მთა-კლდიანი, სადაც აუცილებელი ხიდებისა და გვირაბების გაყვანა იქნება საჭირო. აქაური ვიწრო ქალები და ხშირი ბილიკები არ იძლევიან ფართო გასაქანს რკ. გზისა და გზატკეცილისათვის. აგრეთვე, ქ. ქუთაისიდან რაჭა-ლეჩხუმის ცენტრამდის სოფ. ჭრებალომდის 65—70 კილომეტრია. რაჭა-ლეჩხუმის გზის ქუთაისის სადგურთან შეერთებაც რთულია და ძნელი, რადგან მთელი ქალაქი შუაზე უნდა გადიჭრას, რაც ძლიერ ძვირი დაჯდება. ამიტომ ფრიად მიზანშეწონილი და პრაქტიკული იქნება, გამოვძებნოთ უფრო მოკლე მანძილიანი ხაზი, რაჭა-ლეჩხუმის ცენტრის სოფ. ჭრებალოს რკინის გზის რომელიმე აწარსებულ სადგურთან შესაერთებლად. ასეთი ჩემის აზრით იქნებოდა სადგური **საწირე** ტყიბულის რკ. გზაზე. ამ სადგურიდან გადის ვაკე და მოხერხებული სოფლის შარა-გზა სოფლებ: ძიროვან, - სოჩხეთ, - ძმუისი, - თხმარი-შავრატოლია-ჭრებალოს მინდვრებზე. ეს გზა სრულიად სწორი ხაზით მიდის ნაქერალისა და ველიეთის შორის ძირ-ძირ და გავა სოფელ ზემო შავრას რაჭის ტერიტორიაზე; საიდანაც ჭრებალომდის სულ 5—6 კილომეტრი თუ იქნება. სულ ამ გზის სიგრძე საწირიდან ჭრებალომდის 30—32 კილომეტრი თუ იქნება. ეს 50 პროც. ამცირებს მანძილს და, მაშასადამე, გზის ღირებულებასაც. გზის გაყვანა ხთება ისე, რომ ცარიელი მინდვრების გაჭრა სოფლის თავებზე. არაფერ მატერიალურ მსხვერპლს არ მოითხოვს. ამ მიმართულებით მთელს ოკრიბა-რაჭის ტერიტორიაზე, ათი პატარა ვენახიც არ გაიჭრება. თან ვაკეა და ნაკლებ დაღარული ხევებით, სადაც ძლიერ მცირე რიცხვი იქნება საჭირო ხიდებისა და გვირაბების. აქვეა საუკეთესო მაგარი ქვენიადაგი (გრუნტი) და მეწყრები არ იცის ისე,, როგორც ოსეთის გზატკეცილზე. ესევე უბანი სავსეა ხისა და ქვის საშენი მასალით. და სამუშაო ძალაც აქ ბევრია და იაფი. ამ მიმართულებით, თამამათ შეიძლება ითქვას, რომ გზა დაჯდება ერთი მესამედი მისი ვიდრე ოსეთის გზატკეცილის მიმართულებით.

შეიძლება გვითხრან, რომ არა მარტო სიიაფეა საჭირო, არამედ გზის დასახელებულ ადგილებთან დაახლოვებაცო. ამ მიზანსაც აქ უფრო ადვილათ ვაღწევთ: პირველი მიზანია ამ ორი მაზრის ცენტრს შეუერთდეთ; ასეთია მხოლოდ სოფ. ჭრებალო. ეს იქცევა ამ ორი მაზრის კვანძათ მაშინაც, თუ ჩვენ რკ. გზას, ოსეთის გზატკეცილით გავიყვანთ ეს ცენტრი ადვილად აერთებს დაახლოებას, როგორც რაჭა-ლეჩხუმის მდიდარ რაიონებს, ისე ქვემო სვანეთსაც. ქვემო ლეჩხუმი, ანუ კლდე დალმართი რჩება ვითომ ცოტა დაშორებული, მაგრამ ამ რაიონის სოფლებ.., რებული, სადგურ თხმარიდან 6—8 კილომეტრზე მხოლოდ....

ჭრებალოს სადგური ლეჩხუმის სამაზრო ცენტრ ცაგერამდის იქნება დაშორებული 8—10 კილომეტრზე. ესევე მანძილი იქნებოდა უახლოეს სადგურამდის, რომ ჩვენ გზა იმავე ოსეთის გზატკეცილით გაგვეყვანა.

ზემოთ თქმულ მიმართულებით სვანეთიც ძლიერ მოიგებს. ქვემო სვანეთს, ზემო სვანეთზე ახლოს ექნება რკ. გზა ერთი სამათ მაინც; ზუგდიდის ტოტი, რომ ჯვარამდის მივიდეს.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას ქვაკუთხედათ გზების გაყვან უნდა დაედვას. ეს იქნება მთავარი საწინდარი ჩვენ კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებისა, ესევე გაუადვილებს ჩვენ ხელისუფლებას მჭიდრო კავშირი იქონიოს პერიფერიებთან. ამ გზის გაყვანას ნაკლები მნიშვნელობა არ ექნება, თუ მეტი არა, ვიდრე ზაგესს და რიონგესს.

კაპიტონ ბაქრაძე.

# შორაპნის მაზრის მუშების და გლეხების განცხადება

ჩვენ, ამის ქვემორე ხელისმომწერლები, ქ. ჭიათურის და მისი რაიონის მუშები და გლეხები, ვითვლებოდით ს. ს.-დ. პარტიის წევრებათ,—ბევრი ჩვენგანი რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში,—და ვიღებდით აქტიური მონაწილეობას ამ პარტიის დირექტივების ცხოვრებაში გასატარებლად. ჩვენს რიგებში ბევრია ისეთებიც, რომლებსაც არა ერთი და ორი წლით განუცდია თვითმპყრობელობის დროს ციხეში ჯდომა და ცივ ქვეყნებში ცხოვრება, როგორც პოლიტიკურ „დამნაშავეს".

გასაბჭოების შემდეგ ჩვენ, მართალია, ჩამოვშორდით ჩვენს ძველ პარტიას, მაგრამ პოლიტიკური სინიდისის ქვეშ ვაღვიარებთ, რომ სრულიად შეგნებულად არ მივდიოდით ახალ, კომუნისტურ ხელისუფლებასთან. სინდისის ქვეშ ვაღვიარებთ, რომ თუმცა ჩვენ დავტოვეთ მენშევიკების ძველი პარტია, გამოვაცხადეთ თავი პოლიტიკის გარეშეთ და უპარტიოთ, მაგრამ ჩვენი სიმპატია მაინც მიმართული იყო ძველი, მენშევიკური პარტიისაკენ და თუ მას აქტიურად არ ვემსახურებოდით, პასიურად სულიერად მაინც თანავუგრძნობდით და მისი გამარჯვება გვსურდა.

ორი სამი წელი ვიყავით ასეთ მერყეულ მდგომარეობაში და არ ვიცით რით დაბოლოვდებოდა ჩვენი პოლიტიკური გადახალისება, საით და ვის მხარეზე გადაგვხრიდა პოლიტიკური ქარიშხალი, რომ 1924 წლის აგვისტოს ავანტიურა არ დაგვტეხოდა თავზე. ამ საშინელმა ავანტიურამ, რომელიც ევროპაში გახიზნულმა ჟორდანიამ და მისმა „მთავრობამ" „გააბედნიერეს" ქართველი ხალხი, უდიდესი და უსაშინელესი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა ჩვენგანზე. ამან ჩვენ აშკარად დაგვანახა, რომ ჩვენი პარტიის ძველმა ხელმძღვანელებმა გადაუხვიეს წმინდა მარქსისტულ გზას, მათ უარყვეს ყოველი ის, რასაც უწინ ჩვენთან ერთად ემსახურებოდენ, მათ უარჰყვეს სოციალიზმის გზით სიარული და განიზრახეს მშრომელი საქართველოს წმინდა ფაშისტური გზით წაყვანა.

აჯანყება, თავისი საკუთარი ხელისუფლებისადმი მოღალატეობა, მისთვის ზურგში მახვილის ჩაცემა, ბრძოლა სოციალისტური პარტიისა და მისი ხელისუფლებისათვის იმიტომ, რომ ჟორდანია-რამიშვილს აქ ბატონობა მოვუპოვოთ! ეს უდიდესი ბოროტებაა, ეს უდიდესი, უმაგალითო და მიუტევებელი დანაშაულია ყველა იმისათვის, ვისაც ოდესმე უფიქრია მთელი კაცობრიობის საუკეთესო მერმისზე. ვისაც ერთხელ მაინც უფიქრია თანამედროვე ცხოვრების სიდუხჭირეზე.

როცა ჩვენ ჩვენი ძველი საკუთარი პარტიის რიგებში ვიბრძოდით, ჩვენ გულწრფელად გვწამდა, რომ ჩვენ ვაკეთებდით როგორც საქართველოს მშრომელთა საქმეს, ისე მთელი ქვეყნის მშრომელთა საქმეს. როცა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჩვენ კიდევ მიშკალითვათ ვიცქირებოდით ევროპისაკენ და ნ. ჟორდანიას იმედით ვიკვებებოდით, ჩვენ ასე გვეგონა, რომ ჩვენი ამხანაგები იქ, ევროპაში განაგრძობენ სოციალიზმის სამსახურს, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ იმათ იქ უკუაგდეს სოციალისტური გზა, შეუერთდენ ქართველ, ჩვენს კარგად ნაცნობ „მამუ-

ლიშვილებს“, რომლებთან ჩვენ აქ, საქართველოში, იმავე ჟორდანიას მეთაურობით ვაწარმოებდით სამკვდრო-სასიცოცხლო ომს, იმ გარემოებამ, რომ ჩვენმა ძველმა ხელმძღვანელმა ამხანაგებმა კომუნისტებთან ბრძოლის დროს აღიჭურვენ ნაციონალისტური ხმალით და კედია-გვაზავებთან ერთად დაირაზმენ საქართველოს მშრომელი ხალხის წინააღმდეგ, ჩვენ სამუდამოთ აგვეხილა თვალები და ჩვენ სავსებით დავკარგეთ ყოველგვარი იმედი იმაში, რომ ჩვენი პარტიის ყოფილი ხელმძღვანელები შესძლებდენ ძველი გზის მონახვას და ოდესმე სოციალიზმს დაუბრუნდებოდენ.

მაგრამ ამისდამიუხედავათ, ჩვენ სრული დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი პოლიტიკური წონა ერთობ უმნიშვნელო იქნებოდა კომუნისტური პარტიის სასწორზე, მივანებეთ თავი ყოველგვარ პოლიტიკურ საქმეებს და შევუდექით ჩვენს ჩვეულებრივ ყოველდღიურ საქმიანობას.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ჟორდანია-რამიშვილმა კიდევ გაიმეორეს მეორე უფრო საშინელი აგვისტოს მოწყობის ცდა, მას შემდეგ, რაც მათ სადირექტივო წერილებით გაბედეს ქართველი ხალხისადმი მიმართვა მისი აჯანყების მიზნით, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენი დუმილი დანაშაულია, რომ ჩვენს გაჩუმებას შეუძლია დიდი და აუნაზღაურებელი ზიანი მოუტანოს ქართველ ხალხს, რადგანაც ჟორდანია-რამიშვილებმა ჩვენი სიჩუმე ჩვენს მათდამი თანაგრძნობათ ჩათვალონ და კიდევ იმედი იქონიონ მშრომელი ხალხის წინაშე მსგავსი მოღალატეობის ჩასადენათ, ჩვენ საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ დღეიდან ვდგებით „ახალგზლების“ რიგებში და მათთან ერთად ვიბრძოლებთ კომუნისტური პარტიის წითელი დროშის ქვეშ საბჭოთა საქართველოს და საერთოდ მთელი საბჭოთა კავშირის მტრების წინააღმდეგ.

საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ ჩვენ იარაღით ხელში, ჩვენი საკუთარი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, დავიცავთ საბჭოათ საქართველოს და მის ხელისუფლებას ყოველგვარი მტრების თავდასხმისაგან, იქნებიან ისინი ჩვენი ყოფილი, დღეს გაფაშისტებული, ამხანაგები, თუ იმპერიალისტური სახელმწიფოების ურდოები.

ასეთია ჩვენი ფიცი, ასეთია ჩვენი ურყევი და უცვლელი რწმენა და ამ რწმენით საქვეყნოთ ვამბობთ:

გაუმარჯოს საბჭოთა დიდ კავშირს!

გაუმარჯოს მის სრულუფლებიან წევრს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

ეს არის ჩვენი ფიცი და ამის ქვემო ხელს ვაწერთ:

კოვზირიძე ვლადიმერ, შალამბერიძე აბესალომ, ჩინჩალაძე ალექსანდრე, ვანტრიშვილი ვალერიან, ჩინშვილი კონსტანტინე, ხუსკივაძე ივანე. კელენჯერიძე ვარლამ, ვაჩეიშვილი არტემ, ხუსკივაძე პავლე.

მაღულარია სილიბისტრო, ლამბაშიძე ტრიფონ, ქუმბურიძე ილარიონ, წინიკაშვილი ვალერიანე, გურული კალისტრატე, ნაცვალაძე ვიქტორ, დუგლაძე ვალერიან, დოლიძე ემელა, მუმლაძე გიორგი, ბესელია მელიტონ.

გიორგაძე სოლომონ, დუგლაძე დათიკო, ფერაძე სიმონ. მაჭავარიანი ვასილ, ერისთავი ევგენი, სულაქველიძე ვლადიმერ, ჯაფარიძე ვასილ, ჟორდანია ელისო ყაისარის ასული.

კამკამიძე არტემ, ჯანიაშვილი ალექსანდრე, გოცაძე კონსტანტინე, ჩხეიძე ვანო, ყიფიანი მიხეილ, ხაზეიშვილი კოზმა, ფერაძე კასიან, მაისურაძე ანტონ, ჩიქობავა ფილიპე, ბეჟუაშვილი დავით.

ნანიტაშვილი ვასილ, ახრახაძე თომა, კვინიკაძე სევერიანე, საყვარელიძე კონდრატი, ქამუშაძე ზებედე, გაჩეჩილაძე ვასილ, კვინიკაძე ვარლამ, ჩუბინიძე ვასილ, გურული ბესარიონ, კეკელიძე რაფიელ.

ღვინჯილია ბეგლარ, გურული ვასილ, ებანოიძე გაბრიელ, კვინიაძე პლატონ, ჯაქანაშვილი ზაქარია, ფუტკარაძე რაჟდენ, ებრაელიძე აკაკი, მაჭარაშვილი ზინოვი, ვარდოსანიძე დიმიტრი, საცერაძე ალექსანდრე.

რობაქიძე თედო, ქლიბაძე ერმილე, გაბრიჩიძე ბიქტორ, ქინქალაძე პავლე, გველესიანი ანტონ, არაბიძე კალისტრატე, მელაძე პორფილე, ზედგინიძე პეტრე, ლოლაძე რაჟდენ, მერკვილაძე დავით.

ლუტიძე ისმაილ, მშვენიერიძე გიორგი, ვანგიანი გრიგოლ, ჭანკოტაძე ვასილ, მოსიძე ისიდორე, ჩხიკვაძე გიორგი, ჩხიკვაძე ევტიხი, კვინიკაძე დავით, ცნობილაძე ივანე, ქაშაკაშვილი ბაგრატ.

კოვზირიძე იაკინთე, არაბიძე ლავრენტი, ყიფშიძე სერგო, ასათიანი ნესტორ, შანიძე მელქისადეგ, ებანოიძე ნიკოლოზ, ქურცაძე ვასილ, ცეცხლაძე სევასტი, ებანოიძე მოსე, ფერაძე ილია.

დევდარიანი მელქისადეგ, ჭუმბურიძე გიორგი, ქანგიანი გრიგოლ, კალანდაძე არქიფო, ხუსკივაძე დომენტი, ჩოკორაია პავლე, გურგენიძე შალვა, კვინიკაძე პარმენ, მაჭავარიანი ვასილ.

რობაქიძე მიხეილ, ნიშნიანიძე ვიქტორ, გაჩეჩილაძე მიხეილ, სიხარულიძე სერაფიონ, გოდაბრელიძე შალვა, წერეთელი ნიკოლოზ, ხარაიძე აკაკი, ტყემალაძე პანტელეიმონ, მეგრელიშვილი კოლია, ლამბაშიძე ნიკოლოზ.

ქვარიანი კოწია, მოდებაძე კოწია, გურული შალვა, თოდუა გიორგი, გოგავა იონა, გაფრინდაშვილი კოლია, ხვედელიძე სინო, ფალავა სამსონ, ცირეკიძე ნიკო, გურული გიორგი.

ტუსკია ანტონ, აბესაძე სევერიანე, ხუხუნეიშვილი დიომიდე, კობიძე ანდრო, სამხარაძე დათიკო, პეტრიაშვილი იოკიმე, ბუხნიკაშვილი გრიგოლ, ქვარიანი სადიკო მელიტონს ასული, ენუქიძე თერაფონ, გველესიანი კოლია.

დარჩია ილიკო, მასხარაშვილი ბიქტორ, გამეზარდაშვილი ილიკო, ბინაძე თეოფილე, კუპატაძე გრიგოლ, ჩანტლაძე პარმენ, ბრეგვაძე კარპეზ, კურცხალია ზურაბ, აბდუშელიშვილი პლატონ, ოგანეზოვი სამსონ.

მეტრეველი ნესტორ, მიქაცაძე იაკობ, ბედინაშვილი ვანო, გაფრინადშვილი გედევან, გაფრინდაშვილი ვასილ, გენძეხაძე ალექსანდრე, გამყრელიძე ვალიკო, გაფრინდაშვილი ვასილ, რამიშვილი ისააკი, გა[illegible]ინდაშვილი კიმოთე.

დვალი კოლა, გაფრინდაშვილი ბიქტორ, გაფრინდაშვილი სევერიანე, გაფრინდაშვილი ნოე, გურაბანიძე გედევან, გაფრინდაშვილი სანდრო, ბედენაშვილი პლატონ, ჩუბინიძე დომენტი, მენაფირი ბიქტორ, სამ[illegible] იასონ.

ხვედელიძე სევერიანე, ქანკვეტაძე კალისტრატე, მენაფირი ალექსანდრე, გოგოლაძე დიმიტრი, კუპატაძე დანიელ, გოგოლაძე ალექსანდრე, ხვედელიძე ალექსანდ., სამხარაძე სპირდონ, სამხარაძე ისიდორე, გურაბანიძე პეტრე.

ჩხეიძე კოლია, გელაშვილი გიორგი, გეგეკიძე ლავრენტი, ჩაჩანიძე ილარიონ, სიხარულიძე ნატაშა, იოსების ასული, წერეთელი გრიშა. რაზმაძე მიხეილ, ლოლაძე ფედ., ჩუბინიძე პარმენ, წერეთელი ივანე.

საყვარელიძე ილია, მოდებაძე გრიშა, გურჯიძე კოწია, ზეინკალიშვილი კონსტანტინე, ჩხეიძე თეიმურაზ, ზარათაშვილი კირილე, წულუკიძე გრიგოლ, ფხალაძე სიმონ, ვაშაძე გრიგოლ, გაფრინდაშვილი თადეოზ.

გამყრელიძე პავლე, გაფრინდაშვილი შალიკო, ციუმა გრიგოლ, მიქაუტაძე დავით, გამყრელიძე ნოე, ბარათაშვილი სიმონ, მიქაცაძე მეთოდე, დეკანოიძე კონსტანტინე, წერეთელი პეტრე, პაპიძე მელიტონ.

ბედინაშვილი სიმონ, იაკობაშვილი ევგენი, ბუაძე იპოლიტე, შეყვილაშვილი შალვა, დავლიშვილი ამბროსი, კაპანაძე დათიკო, გაფრინდაშვილი ბიქტორ, ჩაჩანიძე პავლე, ათაბაგი ნიკიფორე, ხვედელიძე ილარიონ, სამხარაძე ბიქტორ.

ჩალაძე ნიკიფორე, სამხარაძე ალექსანდრე, გველესიანი სევერიანი, ყიფშიძე ვლადიმერ, კაპა[illegible]

ლაბაძე პარმენ, ბრეგვაძე ვლასი, ბრეგვაძე კაპი[illegible] დელიძე შალვა, კაპანაძე პლატონ.

მაჭარაშვილი ვარდენ, მეშაპიძე სიმონ, მაჭარაშვილი სილზისტრო, ცეცვაძე სარდიონ, უზნაძე რაჟდენ, აბდუშელიშვილი ანდრო, ჩხეიძე დავით, ღვალაძე ევგენი, ლომაძე თამარა ვლადიმერის ასული, ხარაძე სამუელ,

საყვარელიძე სოლომონ, მოდებაძე სიმონ ლეჟავა გიორგი, ბაქრაძე ალფეზ, ჭანკვეტაძე კოსტა,ცომაია სოფრომ, კაციტაძე სიმონ, ჯიმშელეიშვილი თეოფილე, ებანოიძე ამბროსი, ხარაძე ლავრენტი.

ტყემალაძე მიხეილ, ტყემალაძე ნიკოლოზ, შარელიძე ვასილ, დარბაიძე ზენობ, დარბაიძე კოლია, ფხალაძე ვლადიმერ, კურტანიძე ვასილი, რამიშვილი ვასილი, სამყურაშვილი კარპე.

ბაზლაძე ეპიფანე, ჭანტურიშვილი ივლიანე, გეგეჭკორი ლავრენტი, ბრეგვაძე ივანე, ხვედელიძე კოწია, ხვედელიძე ანტონ, უნგიაძე სარდიონ, ტყემალაძე აბიათარ, კალანდაძე ვარდენ.

სებიზკვერაძე ზეილო, ხარატიშვილი ალექსანდრე, სცილაძე ერმალოზ, ებანუიძე ერმალოზ, ახრახაძე დავით, ხარატიშვილი დავით, გელაშვილი დავით, შველიძე დავით, ხარატიშვილი ლონგინოზ, ცქტიშვილი ბარნაბ.

ბუაჩიძე ფილიმონ, გველესიანი პეტრე ცუცქერიძე შალვა, ხარატაშვილი აბაბო, შველიძე შალვა გელაშვილი ნიკოლოზ, ხელაძე ვასილი, ბარვაძე იაგორ, ცუცქირიძე ნიკოლოზ, ებანოიძე ეპიფანე.

ძელაშვილი სერგო, ძელაშვილი დავით, ებანოიძე პლატონ, ებანოიძე გრიგოლ, სებისკვერაძე ონისიმე ტყემალაძე სერგო ხარატიშვილი კოლია კვინიკაძე ივანე, კვინიკაძე არტემ.

გეგეშიძე გრიგოლ. შველიძე ვასილ. კიკალიშვილი არჩილ, ხარატიშვილი გიორგი, კიკალიშვლი ვასილი, ხარატიშვილი ამბერკი, ხარატიშვილი მინაგო. ხარატიშვილი სიმონ, ხარატიშვილი ნესტორ, კვინიკაძე ვლადიმერი.

ცინცაძე ილია, შველიძე საველი, მახათაძე აფრასიონ, თაბაგარი ალექსანდრე, სუხაშვილი დავით. შველიძე ვლადიმერი, კალანდაძე ალექსანდრე. შველიძე აბესალო, ქურციკაძე სევერიან, გოგიაშვილი კონდრატ.

გოგიშვილი ბიქტორ, კუტივაძე ელიაზარ, კორტი ევსევი, ჩხენკელი ნიკიფორე, ფანჩულიძე ლიდა, არაბიძე გიორგი, აბულაძე ვლადიმერ. არჩვაძე კალისტრატე. ისაკაძე ბაგრატ, აბულაძე არქიპო.

ოშხნელი გრიგოლ, მაკარიძე ვასილ, ჭანტურიძე მი[illegible] სიმონგულოვი ივანე, კაჭკაჭოვი კოსტა. პეტროსოვი სისაკო, არაბიძე პიმენ, რიყამაძე ნიკოლოზ. გაპამჯიანი ნერსეს. ხაჭაპურიძე არჩილ.

ზარნაძე დავით, გეწაძე პლატონ, კახიძე ვლადიმერ, ბოქორიშვილი გიორგი, ჩიკვილაძე ალექსანდრე, ცინცაპლატონ, ცინცაძე იპოლიტე, უგრეხელიძე სიმონ.

მაჩიტაძე ვალერიან, მაჩიტაძე კალისტრატე, წიწილაშვილი ექვთიმე, სალაძე დუდია, სალაძე შალვა ჩუბინიძე ისიდორე მაჭავარიანი იაგორ, აბაშიძე ბესო, ოქრუაძე პორფილე, გურაბანიძე ნესტორ.

ბლიაძე სანდრო, გოგიაშვილი გალაქტ., ალავიძე ანტონ, გოგიაშვილი კალენიკე, მარუაშვილი ალექ.; გავაშელაშვილი ვას., გურადაშვილივ ლადიმ., რობაქიძე გიორგი, ბოქვერაძე აფრასიონ, გოგზაძე მიხეილ.

ენუქიძე ლადიკო. მაჭავარიანი მიხ., ვერულაშვილი ვლად., შველიძე ედიშელ, საცერაძე ვასილ, შავგულიძე სოლომონ, ვარდოსანიძე ბესარიონ, ბუცხიკიძე ალექსანდრე, ბუცხიკიძე პლატონ, ნებიერიძე ლუკა.

ენუქიძე ვანო, მაჩიტაძე ვლადიმერ, გვალია მინაგო, კვეტენაძე ამბროსი, სამხარაძე ვარდენ, ვარდოსანიძე გრიშა, აბესაძე კალენიკე, ბუცხიკიძე დავით. საცერაძე კასიანე, ქლენტი ლევონიდე.

ტრაპაიძე ტკაკი, ალავიძე დავით. ჩუბინიძე მიხ., არაბიძე ვას.; გიორგაძე გიორგი, კუპატაძე მანუელი. ჭანტურიძე არქიპო. ჭანტურიძე ალექსანდრე. კამკამიძე გიორგი, აბაშიძე ლევან, სურგულაძე ნიკოლოზ, ნამგალაძე გრიგოლ, პიპინაშვილი ნიკოლოზ, დეკანოიძე ნიკოლოზ, კალანდაძე ბარნაბ, ნაკროზაშვილი ივანე, ნაკროზაშვილი ნინა, ლომასაძე ლევანტი, გალდავა ივანე, სახუაძე ნიკოლოზ.

ცხადაძე ნიკოლოზ, ცხადაძე იოსებ, ჭინჭარაძე ნიკო, ჭყოიძე ლავრენტი, ლეჟავა ვანო, კიკნაძე იპოლიტე, შათირიშვილი კოტე, შატბერაშვილი იორამ, ბარბაქაძე გიორგი, კუდაძე კონსტანტინე.

კოტრიკაძე ნოე, ბუაჩიძე სიმონ, ვეფხვაძე არქიფო, ვეფხვაძე კონსტანტინე, რობაქიძე ლავრენტი, მაღრაძე კირილე, გოგინაშვილი სოსო, სუხიშვილი ნიკოლოზ., მანჯავიძე პართენ.

ბარბაქაძე ივანე, ბარბაქაძე ისაკ, პაქსაშვილი ყარამან, წიქარიშვილი იაგორ, სებისკვერიძე თეადოზ, ბარბაქაძე იოსებ, სებისკვერაძე იველ, სებისკვერაძე ამელიან, სახვაძე იასონ, დეკანოიძე გიორგი.

გოგუაძე სამ.; ბარბაქაძე ივლიანე, წიქარიშვილი ალექსანდრე, სახვაძე ვლადიმერ, ზუმბაძე იპოლიტე; სებისკვერაძე გიორგი, სახვაძე ერმალოზ, დონაძე ჯიბო, ბარბაქაძე მიხა, სახვაძე შალიკო.

კურტაძე მელქო, ბარბაქაძე პარმენ, ბლიაძე იპოლიტე, ბლიაძე მაკარ, ციცქიშვილი დავით, ლომიძე ნიკო, სულაქველიძე ირაკლი, ციცქიშვილი სერაფიონ.

ზვიადაძე სალომე, ნიქაბაძე ტრიფონ, ხიჯაკაძე სევერიან, გიგაშვილი საველე, მერკვილაძე იპოლიტე, ჭანკვეტაძე ალექსანდრე, ჭანკვეტაძე კონსტანტინე, ნასიძე ივანე, წიწილაშვილი ანთიმო, მაჭავარიანი, კონსტანტინე.

პავლაეძ არჩილ, ფაიქრიძე ბიქტორ, მაჭარაძე ნიკოლოზ, ფაქრიძე კონსტანტინე, კაპილაძე თომა, კაპილაძე სირვანდი, კოვზირიძე ნიკოლოზ, კაპილაძე ბარნაბ. კაპილაძე ექვთიმე, კამკამიძე ვლადიმერ.

კაპილაძე იასონ, პავლაძე პავლე, ფიქრაძე შალვა, გაფრინდაშვილი გიორგი, ქილაშვილი სევერიან, წერეთელი ივანე, იაკობაშვილი ბენედიქტე, ქურდიანი ვლადიმერ, წარბაძე შალვა, სიმონგულოვი სილო.

გაფრინდაშვილი ირაკლი, მეტონიძე არქიფო. გძელიშვილი აბესალო, ქოჩიაშვილი დავით, გუდაძე ამელი, მუღაძე მინა. გაფრინდაშვილი გრიგოლ, მღებროვი არმენაკ.

ფთისიევი ალექსი, გაფრინდაშვილი სანდრო. აძუანდაძე ლავრენტი, ზაბახიძე ილიკო, ხათრიშვილი მაქსიმე, ხარბილაძე ლავრენტი, ტაშტაძე მოსე, კაპანაძე გრიგოლ. გოგეიშვილი ფილიმონ, ტაბატაძე დომენტი.

ტაბატაძე ალექსანდრე, გაფრინდაშვილი ალექსანდრე. ტაბატაძე ვასილ, ხარშილაძე კალენიკე, კაპანაძე მოსე, ტაბატაძე ისაკი, მაჭარაშვილი გრიშა, ხარშილაძე პეტრე, მაჭარაშვილი სილიან, ტაბატაძე პარმენ.

მაჭარაშვილი ნიკიფორე, კაპანაძე პლატონ, ჭოტაძე ნიკოლოზ, აბაშიძე საშა, ჩაბრაძე ალექსანდრე, მაკასაშვილი ნიკ.; სადღობელაშვილი სადა, აბაშიძე ვიქტორ, აბაშიძე სერგო, გაურასაშვილი ბესარიონ, მაკასარაშვილი გიორგი, ქიმაძე გიორგი, ჯიტაძე ალექსანდრე, ჩხიტუნიძე ანტონ, აბაშიძე ანტონ, აბაშიძე ლუკა, აბაშიძე ნიკო, ადლობელაშვილი მიხაკო, ჭიჭინაძე იაგორ, ჩაბარაძე ისაკა.

ნამგალაძე ათანეს, ჩხიტუნიძე პეტრე, ხვედელიძე ჭიჭიკო, ბერიძე იოსებ, სადღობელაშვილი მიხაკო. შუკაკიძე ილია ჭიტაძე ხარიტონ, ჭიტაძე ვარლამ, აბაშიძე ილიკო, შეყლაშვილი გიორგი.

გულიაშვილი პავლე, ხაჯალია ვასილ, ნადირაძე არჩილ, მაჭარაშვილი დომენტი; კურტანიძე იულან. გულაშვილი ილიკო, გოგნიძე იასონ; ჯისკაძე ისიდორე. შხიკვაძე მიშა, ხარშილაძე ოლიაზონ.

ხარშილაძე გიორგი ნაკლაჯიშვილი დავით, სადუნაშვილი ვალიკო, კვამლაძე კოსტა. კიპაროიძე ვანიჩკა, კვამლაძე გედევან; შეყლაშვილი სერაპიონ, შეყლაშვილი ნიკო, ციხაძე რომანოზ, გაგნიძე მიხაკო.

კიპაროიძე არჩილ, კიპაროიძე გრიგოლ ზეპკლიშვილი მიხეილ, დემეტრაშვილი გედევან. ჩინჩალაძე ერე-

ძა, კაპანაძეა ნეპოტისტე, ცივიძე ბეგლარ, გოგოლაძე იასონ, გოგოლაძე ილიკო; კაპანაძე ვანო.

ნოზაძე მინა; კაპანაძე ვლადიმერ, ნოზაძე ამბროსი, კაპანაძე ვიქტორ; ცუცქირიძე გიორგი, ცივციძე ივანე, კაპანაძე ივანე, ჩიჩხალაძე მელიტონ, ჩიჩხალაძე დავით, ციცვაძე ბათლომე.

ჩიჩხალაძე სერგო; მუმლაძე აბესალომ, პაპიძე ვლადიმერი, ცუცქირიძე მინაგო, ჯაოშვილი ანგ.; ძელაშვილი იაკინთე, ჯაოშვილი მიშა, ცერცვაძე სარდიონ; ვაშაძე კოლია' ცუცქირიძე კოტე.

ტალახაძე სარდიონ, ტეფნაძე სიმონ, ბიწაძე ისიდორე; ცუცქირიძე ვალიკო; წერეთელი ვანო, ცუცქირიძე ტარასი; ცერცვაძე დომენტი, კურტინიძე მელიტონ; ქაოშვილი დაიმიტრი, იაშვილი ერმალო.

ხვედელძე შალვა, ხვედელიძე კოწია, გოგოლაძე ალექსანდრე; გოგოლაძე დიმიტრი, სამხარაძე იასონ; სამხარაძე დავით, მენაკირე ალექსანდრე' ხვედელიძე სინო; ხვედელიძე ანტონ; ჟღენტი სიმონ.

უფლისაშვილი ტროფიმე; ბეტონაშვილი გრიგოლ; ჩუბინიძე არჩილ; ყიფშიძე ივანე; ბრეგვაძე ალექსანდრე, ბრეგვაძე ელისე, არსენიძე ტარასი; ჩაფიძე კალისტრატე, მიქელაძე მეთოდე, მოდებაძე კოტე.

გოცაძე იპოლიტე; გოცაძე სერგო; ბიწაძე აგაბო, გამეზარდაშვილი სოკრატი, არსენიძე ნარიმან ჩუბინიძე პლატონ, უფლისაშვილი მაკარი; ლისაბერიძე გიორგი, ჩუბინიძე ვასილ; ჩუბინიძე სერაპიონ.

ჩუბინიძე ალექსანდრე; ბიძაწე ერემია; ბედინაშვილი სამსონ' ცხოვრებაძე ერემია, კეთილაძე ტრიფონ; მიხელიძე ვიტოლი; გორგაძე იაკობ; ლოლაძე იოსებ; ლოლაძე ვანო; შეყრილაძე ონისიმე.

ლოლაძე სევერიან; ლოლაძე კოლია' ალიხანაშვილი ისაია; წერეთელი ვანო; მოდებაძე მიხეილ; სამაცაშვილი მიეხილ; გამყრელიძე ირაკლი' გამყრელიძე სოფრომ; შეყრილაძე დავით; ჯაფარიძე მიტროფანე.

ჯაფარიძე ტისონ' ლოლაძე აქვსენტი; კუპატაძე შალვა; ჩიხელიძე რაფიელ; გაჩეჩილაძე შალვა, მოდებაძე სანდრო, სარალიძე ლავრენტი; ჩიხელიძე კოწია' მოდებაძე ქრისტეფორე; მოდებაძე ალექსი.

ბრეგვაძე ვლადიმერ; ბრეგვაძე სოკრატი' ჩიხლაძე სერაპიონ; აბესაძე სევერიან; ცერცვაძე მარკოზ, ბუჩუხიშვილი გერასიმე' კუპატაძე დავით; აბესაძე აქვსენტი; ბაზლაძე ამბერკი; ბრეგვაძე იაროზ.

კუპატაძე ტრიფონ; ჭანკვეტაძე ალექსანდრე' ჭანკვეტაძე სერგო; აბესაძე იოკიმე, გველიშვილი ვლადიმერ, კევლიშვილი რუფოსი, კევლიშვილი ივანე' ჭანკვეტაძე ვარიონ.

ცერცვაძე სიმონ; შავრაძე დომენტი; გაჩეჩილაძე სიმონ' გძელიშვილი დათიკო, ლომიძე ლავრენტი, ყორყოლაძე ვანო, ტყემალაძე ამბაკო; გუგუნავა გიორგი; ქობულაძე ვიქტორ' სამხარაძე პავლე.

ქათამაძე ვლადიმერ, არაბიძე შალვა, ბიბილაშვილი სერგო; სამხარაძე სერაპიონ, მერკვილაძე ბარამ, არსენაძე ამბაკო, კვამლაძე ანტონ, კერესელიძე დომენტი, ღლონტიშვილი ვლადიმერ' თურმანიძე გედევან.

იაკობაშვილი რაჟდენ, გაგნიძე ივანე, აბაშიძე ნადია, კიპაროიძე პავლე, ძინძიქაძე ანტონ; ტაბატაძე იაკობ; ცუცქურიძე კოლია, ცუცქურიძე აკაკი: ღვალაძე დიმიტრი; წერეთელი იოსებ.

წერეთელი ბაგრატი, კურტანიძე ბიჭია, ჩიჩხალაძე სიმონ, კაპანაძე იოსებ, კაპანაძე ლუკა, კაპანაძე ანტონ, კაპანაძე თეოფილე, ბულაშვილი ვლადიმერ, მოდებაძე ლეონტი, ჩაჩანიძე ვანო.

ცარციძე ივანე, კიკვიძე ბათლომე, კიკვიძე დავით, ცუცქირიძე ტოტო, კაპანაძე აკაკი, კაჭანაძე ექვთიმე, კაპანაძე პავლე, გოგოლაძე ამბაკო, ღვილაძე ევსევი, კაპანაძე ერმალოზ.

კაპანაძე ილიკო, კაპანაძე მელიტონ, ცუცქირიძე ზაქარია, მუმლაძე ვარლამ; შეყრილაძე ლავრენტი, გვალია ირაკლი' კვულაძე ბაგრატ; დვალი სერგო; ვეშაპიძე სიმონ; იაბონიძე სიმონ, კიკნაძე გალაქტიონ, ვეშაპიძე სერგო, შუკაკიძე ივლიანე, აბდუშელიშვილი ნიკო, აბდუშელიშვილი ღენტორ, მოდებაძე ზაქარია, კურტანიძე ვასილ, ბაკურაძე ვასილ, მუმლაძე ზაქარია, ნადირაძე გიორგი.

იაკობიძე არტემ, წიგნაძე ანთიმო. შუკაკიძე შალვა, წერეთელი შალვა, გუდაძე გალაქტიონ.

# ქუთაისის მასწავლებელთა ექსკურსია

### თბილის-ზაჰესი)

რომ ექსკურსიას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის კულტურულ ცხოვრებაში, ეს ყველასათვის უდავო ფაქტია. სულ სხვაა, როცა ამა თუ იმ საქმესა თუ ნივთს ცალკე ათვალიერებთ და სულ სხვაა ექსკურსიაზე ნახული სადაც შეიძლება ამხანაგებში აზრთა გაცვლა-გამოცვლა ნახულის შესახებ. ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია ამას დიდი ყურადღება.

არას დროს არ ყოფილა მოწყობილი იმდენი ექსკურსიები, როგორც ეს დღეს არის. აუარებელი თანხები იხარჯება ამ საქმეზე. თითქმის ყოველ კვირაში ეწყობა ექსკურსიები სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა დარგის მუშების, მოსამსახურეების, მასწავლებელ-მოწაფეების და სხ. და სხ.

სკოლის ცხოვრებაში ხომ პირველი ადგილი უჭირავს ექსკურსიას! ძველმა დრომ არ იცოდა მუშების ექსკურსია რა იყო!..

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო მასწავლებელ-დარაჯთა ექსკურსია, რომელიც მოაწყო ქუთაისის მაზ. განათლების მუშაკთა კავშირის გამგეობამ აგვისტოს ბოლო რიცხვებში.

დანიშნულ დროს ამხ. ნ. გურგენიძის ხელმძღვანელობით გავემგზავრეთ თბილისისაკენ. მეტად სასიამოვნოთ დაგვირჩა, როცა ექსკურსანტთა შორის აღმოჩნდა ერთი დარაჯი, 80—83 წლის მოხუცი, მშვიდი და უწყინარი, დიმიტრი პ—ში, რომელიც თავის სიცოცხლეში როონის სადგურს არ გაშორებია. ის ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს და დიდათ ნასიამოვნები იყ... სიცოცხლის მიწურულში მაინც ეღირსა თბილისის ნახვას. ამ დარაჯს ყველა განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა, მეტადრე ექსკურსიის ხელმძღვანელი, ამხ. ნ. გურგენიძე.

დავათვალიერეთ თბილისის ყველა ღირსშესანიშნავი ადგილები. მუზეუმების გამგეები სიამოვნებით გვღებულობდენ და გვიხსნიდენ ყველაფერს, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან, განსაკუთრებით უნივერსიტეტის ისტორიული მუზეუმის გამგე პროფ. ს. გორგაძე, რომელმაც თითქმის 1—2 საათი დაჰყო ჩვენთან ყოველივე ნახულის ახსნა- განმარტებაში. მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ექსკურსანტებზე იმ ისტორიულმა განძეულობამ, რომელიც უხსოვარ დროიდან რუსეთში იყო გადაკარგული და ახლა საბჭოთა ხელისუფლებას დაუბრუნებია საქართველოსთვის.

დიდ შთაბეჭდილება დასტოვა აგრეთვე რევოლიუციის მუზეუმმა, სადაც, სხვათა შორის, ცოცხლად წარმოგიდგება ძველი ჟანდარმი, „გოროდოვოი", მაძებარი პოლიციის აგენტი და იქვე გვერდით, საკანში, ტანჯული პოლიტიკური ტუსაღი.

შესანიშნავია ზოოლოგიური მუზეუმიც. ეს ორი დიდებული მუზეუმი სულ ახლო ხანში ყოფილა დაარსებული, როგორც გადმოგვცეს. სწორედ ასეთი რამეებისათვის არაა დასაშური, რომ დიდი თნხები იხარჯებოდეს...

შემდეგ ექსკურსია გაემგზავრა ზაჰესში, სადაც დაჰყო თითქმის მთელი დღე. კომენდანტმა აგვიხსნა ყოველივე დეტალურად, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია.

ზაჰესის ნახვამ ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. ეს პატარა ქალების ქალაქია!.. ჩვენი მოხუცი დარაჯი განცვიფრებაში იყო მოსული ყოველივე ნახულით და მადლობას უძღვნიდა ამ დროს, რომელმაც მასაც გამოახედა თვალში.

ექსკურსია მეტად ნასიამოვნები დაბრუნდა უკან, ქუთაისში. დიდი მადლობის ღირსია ქუთაისის მაზრის განათლების მუშ. კავშირის გამგეობა, რომელმაც ესკურსია მოაწყო. მადლობის ღირსია ექსკურსიის ხელმძღვანელი, ამხ. ნ. გურგენიძეც, რომელიც მეტის ყურადღებით და თბილი გრძნობით ეპყრობოდა ყველა ექსკურსანტებს.

საჭიროა, რომ, რაც შეიძლება, მეტმა მასწავლებლობამ მიიღოს ასეთ ექსკურსიებში მონაწილეობა. ამას სიმდიდრე არ უნდა, საჭიროა მხოლოდ მონდომება და ხალისი.

ნინო ნადირაძე.

# ყოფ. სოციალ-დემოკრატ მენშევიკების ხმა

1916 წლიდან მე ვითვლებოდი ს.-დემოკრატიულ პარტიის წევრად. პირველად აღნიშნულ პარტიაში მუშაობა დავიწყე ჭიათურა - ხაშურში, სადაც დღიდან პარტიის რიგებში შესვლისა, გულწრფელად ვასრულებდი პარტიის ხაზს და ჩემზე დაკისრებულ მოვალეობებს.

1920 წლიდან მე ვმუშაობ, როგორც სოფლის მასწავლებელი... საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც პარტიის მიმდევარი დავრჩი, თუმცა 1924 წ. ავანტიურაში მონაწილეობა არ მიმიღია, რადგანაც პარტიის ხაზს არ დაუემორჩილე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, ვადევნებ თვალს, როგორც პრესას, აგრეთვე პარტიის ხაზს და უნდა ვაღიარო, რომ 10 წლის საბჭოთა კავშირის შემოქმედებამ აშკარად დამანახვა, რომ ერთად ერთი პროლეტარული და სოციალისტური ხელისუფლება არის საბჭოთა ხელისუფლება და, როდესაც ჩვენი ყოფილი ბელადები ჟორდანია-რამიშვილი აწყობენ ავანტიურას ასეთი ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც ცხადად მოწმობს იმას, რომ მხარში უდგიათ იმპერიალისტებს და ღალატობენ, როგორც ყველა მშრომელების საქმეს, ისე, მშრომელ საქართველოს, საჭიროთ მიმაჩნია ხმა-მაღლა განვაცხადო, რომ მე მთელის ჩემის ძალ-ღონით ვებრძვი ჟორდანია-რამიშვილის ავანტიურისტულ პოლიტიკას და ვეცდები გაათკეცებულის ენერგიით ვემსახურო საბჭოთა საქართველოს აყვავებისა და გამაგრების და ქვეყნად კომუნიზმის დამყარების საქმეს.

გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს!
გაუმარჯოს ლენინის კომუნისტურ პარტიას!
გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

მასწავლებელი **ალექსანდრე სიმონისძე პეტრიაშვილი.**

რაჭა, ს. კაჩაეთი.

---

1903 წ. ვირიცხებოდი საქ. სოც. დემ. პარტიაში და 1921 წლამდე ვასრულებდი პარტიის ყოველგვარ დავალებებს და ვითვლებოდი ერთ აქტიურ წევრად.

საქართველოს გასაბჭოებიდან არ ვიზიარებდი არალეგალურ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ არც ერთგული დამცველი ვიყავი მისი, რადგან არ იყო ჩემთვის სავსებით გარკვეული კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების რევოლიუციონური და სოციალისტური მუშაობა მიმართული მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად.

ამ ბოლო დროს მე გულდასმით ვადევნებდი თვალყურს „ახალ გზაში“ დაბეჭდილ წერილებს, გავეცანი როგორც ჟორდანია-რამიშვილის ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველ „მოღვაწეობას“, ისე ახალგზელების მოღვაწეობას. ჩემი საკუთარი თვალებით ვიხილე საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ეკონომიურსა და კულტურულ დარგში ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ და დღეს სრულის შეგნებით ვაცხადებ, რომ: ვშორდები მენშევიზმის იდეოლოგიას, ვგმობ რამიშვილების პროვოკაციულ „საქმიანობას“ და სავსებით უერთდები საბჭოთა ხელისუფლებას, ვდგები კომპარტიის დროშის ქვეშ, რათა, როგორც მუშა-პროლეტარსა და სოციალიზმის გამარჯვების პატრიოტსა, აქტიურად ვიმუშაო და ვიბრძოლო ამ გზაზე.

ვასილ თაბუაშვილი.

---

1907 წლიდან 1919 წლამდე მე ვითვლებოდი რ. ს. დ. მუშათა პარტიის წევრად. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, მენშევიკების ხელისუფლების დროს საქართველოში ადგილი ქონდა სხვადასხვა კუთხეებში გლეხების აჯანყებებს არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ. ერთ-ერთი ასეთ აჯანყების დროს, პარტიამ, მე, როგორც გვარდიელს დამავალა გავყოლოდი აჯანყებულთა წინააღმდეგ გასაგზავნ დამსჯელ რაზმს რაზედაც უარი განვაცხადე, რადგან არ მინდოდა მიმეღო მონაწილეობა გლეხების აწიოკებაში, როგორიც იყო მაგალითად ოსეთში, დუშეთში და სხვაგან.

ასეთმა ჩემმა განცხადებამ გამოიწვია მენშევიკური პარტიიდან ჩემი სავსებით ჩამოშორება. ეს იყო 1919 წელს. მას შემდეგ არავითარ პარტიას არ ვეკუთვნოდი. დღიდგან საქართველოს გასაბჭოებისა, თვალყურს ვადევნებდი კომუნისტურ პარტიის მოღვაწეობას და რაც დრო გადიოდა ვრწმუნდებოდი, რომ ერთად-ერთი პარტია, რომელიც სინამდვილეში შესძლებს დაიცვას მშრომელთა ინტერესები, ეს კომუნისტური პარტია არის.

ბრმა უნდა იყო ადამიანი ან განგებ იბრმავებდე თვალებს, რომ ვერ დაინახოს, თუ როგორი აღორძინების გზაზე არის დღეს ჩვენი ქვეყანა, რის ცალ-ცალკე დასახელებას აქ არ შევუდგები.

ვის არ ახსოვს აგვისტოს ავანტიურის საშინელი დღეები, რამაც ასე უაზროთ შეიწირა მრავალი შვილები ქართველი ერისა. ვითვალისწინებთ რა ყოველვე ამას, საჭიროთ მიმაჩნია ვთქვა, რომ ჟორდანია-რამიშვილის „სადირექტივო წერილები“ წარმოადგენს მოღალატურ აქტს ქართველი ერისადმი და ვისაც კიდევ შერჩენია სოციალისტური სინდისი გვერდში უნდა ამოუდგეს არსებულ საბჭოთა ხელისუფლებას და მასთან ერთად გაუმკლავდეს ხალხისა და სოციალიზმის მტრებს, საიდანაც არ უნდა მოვიდენ ისინი. ამ შეგნებით და ღრმა რწმენით ვსდგები კომუნისტურ პლატფორმაზე და ახალ გზელებთან ერთად ვიმუშავებ შეძლებისდაგვარად არსებულ ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

აქეთკენ მოუწოდებთ აგრეთვე ყველა მათ, ვისაც სწამს და სჯერა მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვება.

აფრასიონ ურატაძე.

---

**სარედაქციო კოლეგია.**

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქუჩა № 68.